ივლისი
1933 წ.
№ 91

დამოუკიდებელი საქართველო

La Géorgie Indépendante
Revue mensuelle
JUILLET
1933—№ 91

საქართველოს პოლიტიკური პარტიების ორგანო.

მ ი ნ ა ა რ ს ი:

მეთაური—აღარ არის საელჩო.
ბენო—აფხაზეთი უახლოეს წარსულში და დღეს.
მ. მუსხელიშვილი—საქ. დამოუკ. და კავკ. ერთობა.
წერილი საქართველოდან.
მეტი სიფრთხილე, მეტი წინდახედულება.
ალიკა—საბჭოთა კავშირის ცხოვრებიდან.
მ. უ.—რა გზებით?
პოლონეთის პრესიდან.
ერთა ლიგის დამხმარე ქართული საზოგადოება.
კავკასიის დამოუკიდებლობის კომიტ. მოწოდება.
ს. მ.—ჩვენი დიდი მეგობრის იუბილე.
X.—პარმენ გამყრელიძე.

ა ღ ა რ ა რ ი ს ს ა ე ლ ჩ ო

აღარ არის საელჩო, საქართველოს სრულუფლებიანი საელჩო, ქართველი ერის უზენაესობის სიმბოლო, მისი დროშა, სახელმწიფო ღერბი.

მტერმა გვძლია—ვიქონიოთ გამბედაობა ვაღიაროთ ქვეყნის წინაშე, როგორც ეს სჩვევია ჩვენს მომავლინებელ გმირ ქართველ ერს.

მტერმა გაიმარჯვა ამ უსწორო ბრძოლაში, რომელიც თორმეტი წელიწადი და ხუთი თვე წარმოებდა. აუწერელია, ერთ დროს აიწერება, როგორ ვერაგულათ, განუწყვეტლივ, წამდაუწუმ, უფრო მალულათ ვინემ აშკარათ,—ებრძოდა მტერი საქართველოს საელჩოს. პირველ დღიდანვე, ტფილისის ჩვენი ჯარების მიერ დატოვებიდან, საქართველოს სრულუფლებიან ელჩის მიერ საფრანგეთის პრეზიდენტისათვის რწმუნების ბარათის გადაცემიდან, მომხდართ ერთსა და იმავე დღეს—25 თებერვალ 1921 წლიდან, მტერი მიმართავდა ათასნაირ ხერხს, სიყალბეს, სიცრუეს, სიდაბლეს, რათა მოეხსნათ სამფეროვანი დროშა ერთ ნაჭერ ტერიტორიაზედ, პარიზში, პატარა საქართველოდ რომ იწოდებოდა.

გავიხსენოთ მარტო ერთი ეპიზოდი. პირველ იანვარს 1925 წელს, როცა დიპლომატიური კორპუსი წარუდგა პრეზიდენტს ელისეს სასახლეში, საახალწლო მიმლოცველთა შორის ერიენ, ერთის მხრით, საბჭოთა ელჩი, მეორეს მხრით, საქართველოს ელჩი. დამსწრე ელჩნი და მათი ხელქვეითნი გაკვირვებით უცქეროდენ ერთსაც და მეორესაც, მაგრამ ყველაზე უფრო სახტათ კრასინი დარჩა, მოსკოვის პირველი ელჩი. როგორ!—სწერდა ის თავის დაშიფრულ ტელეგრამაში მოსკოვისადმი, ჩვენ გვიცნეს, ჩემ მიერ წარდგენილ რწმუნების ბარათში ჩამოთვლილია კავშირის ყველა რესპუბლიკები, მათ შორის «სოციალისტური საბჭოთა საქართველოც», რეზერვი არავის გაუკეთებია, და, მიუხედავათ ამისა, ეროვნულ საქართველოს ელჩი იქვე იყო! ამ სირცხვილს ვერ ავიტან, განმათავისუფლეთ თანამდებობიდან—ემუდარებოდა კრასინი თავის მთავრობას.

ამ რიგათ, შეიქმნა არაჩვეულებრივი მდგომარეობა: საქართველოს თითქო ორი ელჩი გაუჩდა, ერთი ტფილისიდან, მეორე მოსკოვიდან! კრასინი შესცვალა რაკოვსკიმ და უკანასკელი—დოვგალევსკიმ, ე. ი. ცხრა წლის განმავლობაში კავშირის და საქართველოს ელჩნი, ეს ორი ანტიპოდი, დღემუდამ ესწრებოდენ ყველა საზეიმო ცერემონიებს, და არაჩვეულებრივი თითქო ჩვეულებრივად, ბუნებრივად იქცა. არ გვავნებს გავიხსენოთ, საფრანგეთმა კიდევ მოსკოვის ცნობამდე მოხსნა «რუსეთის» ელჩი მაკლაკოვი.

საქართველოს სხვაგანაც ჰქონდა ჩაელჩონი: ანკარაში, ბერლინში, ვარშავაში, ლონდონში, რომში, მეზობელ რესპუბლიკებში და უკრაინაში, რა თქმა უნდა (არ ვასახელებთ სხვა ქვეყნებს, სადაც მას უფლება ჰქონდა გაეხსნა საელჩონი), მაგრამ არსად ისე ხანგრძლივ არ უარსებნია მის საელჩოს, არსათ იმ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

დენი ბრძოლა არ გაწეულა მის ირგვლივ, არსათ ბრძოლას ისეთი მწვავე, დრამატიული ხასიათი არ მიუღია, როგორც საფრანგეთის დედა-ქალაქში.

ივნისის ნომერში მკითხველი გაეცნო პალატის ანგარიშს, მის კომენტარიებს, მაშ არ გვეჭვირება განმეორება, აღვნიშნავთ მხოლოდ ერთ მომენტს, ამ ნომრისთვის შემონახულს. არც ერთ დეპუტატს, გარდა კომუნისტ დორიოსი, არ დაუსვამს პირდაპირ კითხვა საელჩოს მოხსნაზე, მას განზრახ გაურბოდენ, ქარაგმით უთითებდენ მდგომარეობის შეცვლაზე, უცხადებდენ ქართველ ერს თანაგრძნობას, ამხნევებდენ, არ ეჭვობდენ მის მომავალში. ბევრი სხვა დეპუტატი, გარდა ამისა, ვისაც გამოსვლა აღთქმული ჰქონდა, არ გამოვიდა, სდუმდა მთავრობაც.

შეიძლება ბევრნაირი ახსნა მიეცეს ამ მოვლენას: თავაზიანობა, მორცხვობა, სულგრძელობა. გაიხსენეთ, ჯერ თვით თავდაუსხმელობის პაქტშიც საქართველოს საელჩო არ იყო ხელდადებით ნახსენები. ცნობილი პროფესორი ლუფური, როგორც მკითხველს ახსოვს, იმასაც ამტკიცებდა, და დაამტკიცა კიდეც, რომ პაქტი საელჩოს სულაც არ ეხებაო. თუმცა... ვიცოდით ოფიციოზურათ, რომ პაქტის ძალაში შესვლა გულისხმობდა საელჩოს მოხსნას! იმდენათ ვიცოდით, რომ შარშან სწორეთ ივლისში, საქართველოს ელჩმა შემდეგი ფრაზა იხმარა, მთავრობის თავმჯდომარის და საგარეო მინისტრ ერიოსთან დარბაზობის დროს: რაოდენ ტკბილია მანვე მოგკლას, ვინც დაგბადა! რასაკვირელია, საელჩო ქართველობამ დაბადა; საფრანგეთი, თუ გნებავთ, მიმრქმელი იყო, მაგრამ როგორი! როცა მან მოსკოვი იცნო, ოქტომბერს 1924 წ., და ეს ხომ იგივე ერიო იყო, მან დასტოვა საელჩო და თითქმის ცხრა წელიწადი იარსება მას შემდეგ. მაშ ერიო მეტი იყო, ვინემ მიმრქმელი. სავალალოთ, საქართველოს ტერიტორიის მტრისაგან დაჭერის შემდეგ ჩვენს ერს არ ჰქონდა ფორმალურათ საშუალება მეტი ხანი მიეცა საელჩოსთვის, ეს იყო დამოკიდებული მარტოოდენ საფრანგეთისგან, მის მთავრობისგან.

საფრანგეთმა თავის ნებით გაახანგრძლივა საელჩოს არსებობა, არ შეეპუა მტრის დაჟინებულ მოთხოვნებს, ხშირათ მუქარებსაც, და მთელი მოაზროვნე ფრანგის ერიც, კომუნისტთა გარდა, იწონებდა რესპუბლიკის სხვადასხვა მთავრობათა ასეთ მტკიცე პოზიციას. დიპლომატიის ისტორიაში—სწერს საქართველოს ელჩი თავის უკანასკნელ ნოტაში საფრანგეთის მთავრობისადმი—ამაოთ ეძებთ მეორე ასეთ ბრწყინვალე მაგალითს; გაივლის წლები, ბევრი წლები, ხოლო ვერავითარი ძალა ვერ ამოგლეჯს ქართველ ერის გულიდან ფრანგი ერის ამ განსაკუთრებულ მეგობრულ მოპყრობას.

მაშ როგორ მოხდა—შეიძლება გვკითხონ—, თუ ყველანი მხარს გიჭერდენ, რატომ მოხსნეს საელჩო? მკითხველის გაკვირვება უფრო გაიზრდება, როცა გაიგონებს, რომ მოსკოვი იმდენათ დაინტერესებული იყო პაქტის მიღწევაში, რომ მასზედ ხელის მოწერის აუცილებელ პირობად არ მოითხოვდა საელჩოს მოხსნას! იმავე ივლისში შარშან საქართველოს ელჩი წერილობით და სიტყვიერათ ეუბნებოდა ერიოს: სარწმუნო წყაროებიდან გავიგე, რომ საელჩოს მოხსნის მოთხოვნა მოსკოვის ჩვეულებრივი დემაგოგიაა, თორემ სინამდვილეში ის არ უკავშირებს პაქტის და საელჩოს ბედს ერთმანეთს.—გთხოვთ ამიტომ შეამოწმეთ, სამინისტროს საშუალებით, ეს ცნობა და, თუ იგი სწორი გამოდგა, მე არ ვეჭვობ, რა დასკვნას გააკეთებთ. მე ეს არ ვიცი! მე ეს არ ვიცი!—აღელვებით უპასუხა ერიომ ელჩს.

ჩვენ კი დარწმუნებული ვართ—ეს მან იცოდა, ცნობა უკვე შემოწმებული ჰქონდა სამინისტროს და არ შეიძლება მინისტრს არ სცოდნოდა! მაშ რაშია საქმე? ამის ახსნა თვით ერიომ მოგვცა თავის დიდ გამოსვლაში 18 მაისს პალატის ტრიბუნიდან. დღეს კი არაა საჭირო სიტყვის გაგრძელება. ლიტვინოვის პარიზში ჩამოსვლა, «გულითადი» დარბაზობა დალადიე-ბონკურთან, მათი «სოლიდარობა» ევროპის აქტუალურ კითხვებზე, აღმოსავლეთ ევროპის ახალი ორიენტაცია მოსკოვის მიმართ, რა თქმა უნდა, საფრანგეთის ხელმძღვანელობით,—ყველა ეს და ბევრი სხვაც საჭიროზე მეტ ახსნას იძლევა, რატომ მოხსნეს საელჩო. საფრანგეთმა თვითონ გამოიჩინა მეტი თანხმობა ამ მხრივ, არ სურდა რამე «ბნელი წერტილი» დარჩენილიყო მის განწყობილებაში საბჭოთა კავშირთან.

მეორეს მხრივ, ცნობილია, რომ მემარცხენე რადიკალები, რომელთა მეთაური თვით მთავრობის თავმჯდომარე დალადიეა, ყოველთვის მოითხოვდენ მოსკოვთან დაახლოებას; და მათი პუბლიცისტი პიერ დომინიკი, ავტორი საქართველოს გამქიქავ წიგნისა, დროსა და ძალას არ ზოგავდა ამისათვის პარტიის ცენტრალურ ორგანო «რესპუბლიკა»-ში. მემარჯვენე ფრთაც არაფრით განირჩეოდა ამ კითხვაში მემარცხენეთაგან და მისმა მეთაურმა ერიომ მოსკოვშიც იმოგზაურა 1923 წელს, 1924 წელს კი იცნო ის, და უარს არ იტყვის ახალ მიპატიჟებაზე ინახულოს მისი «მიღწევანი».

ინტერნაციონალის ბოლშევიზანობა ამ უკანას-

ეროვნული ბიბლიოთეკა

კნელ დროს და მის ერთ სექციის, საფრანგეთის სოციალისტურ პარტიის ძალზე მარცხნივ გადახრა სავსებით გვიმარტავს, რატომ არ გამოიდო თავი მისმა ფრაქციამ, ისე როგორც 1924 წელს, საელჩოს სახსნელათ. მას იმდენათ აინტერესებდა «დიდი კითხვა»—პაქტი, რომ «პატარა კითხვას»—საელჩოს სათანადო ადგილი ვერ დაუთმო... და ეს არ დაუმალავს რენოდელს კერძო ბაასში, თვითონაც ძლიერ უკმაყოფილოს.

ჩვენ ღრმათ დარწმუნებული ვართ. რომ საფრანგეთი ცდება, მოსკოვთან დაახლოვება ვნების გარდა არაფერს მოუტანს მას, მაგრამ ერთია ჩვენი რწმენა და მეორე—საფრანგეთის საგარეო პოლიტიკა... უკანასკნელი ჩვენ არ გვეკითხება.

მაგრამ არის მეორე კითხვა, გაცილებით უფრო მნიშვნელოვანი: ნიშნავს თუ არა საელჩოს მოხსნა საფრანგეთის მიერ საქართველოს ცნობის უკან წაღებას? არას შემთხვევაში. ასეთი განცხადება არ გაუკეთებია არც მთავრობას, არც საგარეო სამინისტროს. პირიქით, პაქტის ხელის მომწერმა ერიომ, ჯერ კიდევ როცა ის მთავრობის თავმჯდომარე და საგარეო მინისტრი იყო, გარკვევით გამოუცხადა საქართველოს ელჩს და შემდეგ განიმეორა პალატის გარეშე საქმეთა კომისიაში, როგორც მისმა თავმჯდომარემ: საქართველო ჩვენს თვალში დამოუკიდებელი სახელმწიფოა და ასეთად დარჩება; მისი პირველი ანექსია არ უცვნია წინანდელ საფრანგეთს, არც მეორე ანექსიას იცნობს, თავის თავათ იგულისხმება, დღევანდელი საფრანგეთი. თქვენ გახსოვთ ანგარიშიდან, რენოდელმა განიმეორა იგივე დებულება პალატაში და დალადიე-ბონკური არ შებრძოლებიან მას.

ამ კითხვას თავისი ისტორიაც აქვს. როცა ჯერ ინგლისმა და შემდეგ საფრანგეთმა იცნეს საბჭოთა მთავრობა, მათ რეზერვი გააკეთეს საქართველოს სასარგებლოთ. მანამდისაც, მაგ., როცა პოლონეთმა, გერმანიამ და სხვებმა იცნეს იგივე საბჭოთა მთავრობა, არ განუცხადებიათ, რომ საქართველოს ცნობა უკან მიაქვთ. ეს არც ესაჭიროებოდათ, რადგან თვით საბჭოთა მთავრობა არწმუნებდა მათ, რომ საქართველო დამოუკიდებელი სოციალისტური საბჭოთა რესპუბლიკა არისო. გაიხსენეთ, ლოზანის კონფერენციაზედ ჩიჩერინის მოთხოვნით იქნა საქართველო ოქმებში შეტანილი, როგორც დამოუკიდებელი სახელმწიფო.

ამის შემდეგ საბჭოთა კავშირი დაარსდა და საქართველოც შიგ შეათრიეს ძალათ, მაგრამ უფლებრივათ არც ამით შეცვლილა მდგომარეობა. საბჭოთა მთავრობას საქართველოსთან დადებული ხელშეკრულება, 1920 წ., არ გაუუქმებია, ის ძალაში ითვლება და ძალათ გასაბჭოებული საქართველო სწორეთ მას ემყარებოდა, როცა ახალ ხელშეკრულებათ სდებდა ჯერ ამიერ-კავკასიის ფედერაციაში, შემდეგ საბჭოთა კავშირში შესვლის შესახებ. კავშირის კონსტიტუციის მეოთხე მუხლიც ხომ იმ დებულებიდან გამოდის, რომ კავშირში შემავალი ყველა რესპუბლიკები თავისუფალი არიან და შეუძლიათ, როცა მოეპრიანებათ, იქიდან გავიდენ!

სიტყვა გაგვიგრძელდა, უფლება და ლოღიკა ერთია, ხოლო სინამდვილე—მეორე. ქართველი ერი გმინავს უცხოეთის უღლის ქვეშ, მას ხელიდან გამოაცალეს თვით ფიზიკური არსებობის უფლებაც. მაშასადამე, ამოცანა იგივეა დღეს, რაც გუშინ იყო: ერის გადარჩენა ამ განსაცდელისაგან. რა არის ამისათვის, უწინარეს ყოვლისა, საჭირო, აუცილებელი, სასწრაფო? ქართველ ერის ყველა სასიცოცხლო ძალების გაერთიანება როგორც შინ ისე გარეთ, მათი დარაზმვა ერთ მთლიან ეროვნულ ფრონტში და გაათკეცებული ენერგიით ბრძოლის განგრძობა დამოუკიდებლობის აღდგენისათვის.

ნურავინ დაიჩემებს, მოსკოვის დაახლოება საფრანგეთთან, სხვა სახელმწიფოებთან მისი ძლიერებით აიხსნება. დააკვირდით შორეულ აღმოსავლეთის ამბებს და თქვენ დარწმუნდებით, რომ სტალინის დიქტატურა თავის არსებობის უკანასკნელ სტადიაშია. მოსკოვი ემორჩილება იაპონიის კარნახს, ემუდარება თავდაუსხმელობის პაქტის დადებას, ხოლო დასავლეთით ის ბითუმათ სდებს პაქტებს მეზობლებთან, ბესარაბიასაც კი ივიწყებს, ოღონდ თავი დააღწიოს შეიარაღებულ შეტაკებას, პირველ სიგნალს რეჟიმის დამხობისა.

ევროპაში ამ ჟამად დიდი გადაჯგუფება ხდება სახელმწიფოთა და ერთა. არავინ იცის, რას მოგვიტანს ხვალინდელი დღე, თითქო დავუბრუნდით დიდი ომის წინა წლებს... აქედან ერთად ერთი დასკვნა ისაა, რომ გვმართებს უდიდესი სიფრთხილე, ცხრაჯერ გაზომვა, ერთხელ გადაჭრა, გამჭრიახობა, გამბედაობა, რათა ქართველმა ერმა, მეზობელ და სხვა ჩაგრულ ერთა გვერდით, შეუბორძიკებლათ განაგრძოს თავისი ეკლიანი გზა თავისუფლებისაკენ.

საქართველოს საელჩო მოიხსნა, მაგრამ ამით არ იხსნება საერთაშორისო ასპარეზიდან ქართული კითხვა. ის დგას ყველა მთავრობათა წინაშე, რომელთა დელეგატებმა ორჯერ დაავალეს ერთა ლიგის საბჭოს, ჟენევაში, გამუდმებით იზრუნოს, «საერთაშორისო უფლების თანახმათ», რათა საქართველო დაუბრუნდეს «ნორმალურ მდგომარეობას», ე. ი. დამოუკიდებელ არსებობას.

აფხაზეთი უახლოეს წარსულში და დღეს

(წერილი საქართველოდან)

VI. «სოვხოზები» და მუშათა მდგომარეობა.

საბჭოთა მეურნეობანი («სოვხოზები») გადაიქცენ დღეს რუსეთიდან გადმოხვეწილ მუშების და გლეხების «თავშესაფარ» ადგილათ, სადაც ამ განაწამებ ხალხის ექსპლოატაცია განუზომელია და დაუჯერებელი. ამის საიულისტრაციოდ მოვიყვანთ ერთ მაგალითს. გუდაუთასთან ახლოს არსებობს საბჭოთა მამული, ე. წ. «საგარეუბნო მამული». რას წარმოადგენს იგი თავისთავად და მუშებისათვის?

ეს მეურნეობა გაშენებულია 60 ჰექტარზე. მთავარი დარგი არის მებოსტნეობა. მისი დანიშნულებაა გუდაუთის და ნაწილობრივ სოხუმის მომარაგება ბოსტნეულით. ყოველ დღე მუშაობს 100-დან 150 კაცამდე. შტატში ითვლება 9 ადმინისტრატორი და ექვსი მუშა. დანარჩენები მუშაობენ დღიურად ან ნარდად. როგორც დღიურებისათვის, ისე შტატში მომუშავეებისათვის სამუშაო დრო დაწესებულია 10 საათი. ეს არ კეთდება ჩუმათ. ათი საათის სამუშაო დრო შეტანილია კოლექტიურ ხელშეკრულებაში და იგი დამტკიცებული და მიღებულია აფხაზეთის კოლმეურნეობათა ცენტრის და შრომის კომისარიატის მიერ (10 საათის სამუშაო დღე აფხაზეთში გამონაკლისს არ შეადგენს. მას სისტემატიურად ატარებენ საქართველოს მსხვილ წარმოებებშიაც. მაგ. რიონჰესში ათი საათის სამუშაო დღეა და ეს მაშინ, როცა საბჭოთა კავშირი ევროპას რვა საათის სამუშაო დღეს უწუნებს და შვიდი საათის ლოზუნგს ისვრის). დღიური ხელფასი ათი საათის შრომისათვის ეძლევათ 3 მან. შტატში მყოფის საშუალო ხელფასია—90 მან. მუშების უმრავლესობა ღებულობს—85 მან. კილო პური ეძლეოდათ 25 კაპ. მაგრამ 1 მარტამდე აძლევდენ მუშას 1 კილოს დღეში. მარტიდან 10 ივნისამდე—800 გრამს; 10 ივნისიდან მუშა ღებულობს 600 გრამს, ხოლო მის კმაყოფაზე მყოფი კი 200 გრამს. იხდიან ობლიგაციების ფულს, საშემოსავლო გადასახადს, საბინაო მშენებლობისათვის, კულტურულ გამოსაღებს და სხვ. ყველა ამ გამოკლებების შემდეგ მუშას რასაკვირველია არაფერი რჩება, გარდა ვალისა. სამრეწველო საქონელი მუშებისათვის დიდი ხანია არ არის. მაისის ბოლო რიცხვებში მოიტანეს იაფ-ფასიანი შარვლები და ხალათი, რომელიც 7 მან. ღირდა. მაგრამ აქ ის შვიდ დღეს არავის უტარებია, რადგანაც დამპალი ძაფით ნაკერი და ნაქსოვი დაირღვა და დაცვდა. ასეთი შემთხვევა, როცა რაიმე სამრეწველო საქონელი მოდის, წელიწადში ერთია, ან ორი და ისიც ასეთი შედეგით.

25 მაისიდან გუდაუთის «სოვხოზი» გადადის სანარდო სისტემაზე. საკვირველი ის არის, რომ აქ არ არის მტკიცე ნორმები, რომლის მიხედვით განსაზღვრული სამუშაოსათვის განსაზღვრულ თანხებს იხდიდენ. ეს ნორმები ყოველ დღე იცვლება წარმოების სასარგებლოდ და დაქირავებულის საზარალოდ. მაგ. მიღებული სამუშაო ნორმის მიხედვით მუშების 10-15 პროც-მა გამოიმუშავა 5-6 მან. 10 საათის განმავლობაში. ასეთ შემთხვევაში ნორმებს ადიდებენ, ხელფასს ამცირებენ და ცდილობენ მუშამ 3 ან 4 მანეთზე მეტი მაინც ვერ გამოიმუშაოს. ამ რიგად სანარდო სისტემა ეს არის ყველაზე საუკეთესო ხერხი მუშების ექსპლოატაციისათვის. როგორც ცნობილია, ამასვე აღიარებდა კ. მარქსი, მაგრამ იგი არ ახსოვთ ლენინელ ბოლშევიკებს—სანარდო სისტემის მეორე ავტორებს. გარდა ამისა, სანარდო სისტემაში შრომის ნორმებს იმუშავებენ კაბინეტებში მოგების სურვილით გაბერილი ბოლშევიკები. ხშირად ერთი დღის სამუშაო ნორმა ისე დიდია, რომ მისი შესრულება 2 დღესაც არ შეიძლება. მაგრამ ამას არავინ დაგიდევს. ნორმალურ პირობებს და მასიურ შემთხვევებს აქ განზე ტოვებენ, რჩება მხოლოდ «ახალი ბატონების» საკუთარი თვალსაზრისი და სურვილი, რაც შეიძლება მეტი გამოსწოვონ მუშას ენერგია და მით საკუთარი კეთილდღეობა დაიმკვიდრონ.

დადგენილებების ხშირი ცვლა და ცხოვრების პირობების სწრაფი გაუარესების გამო მუშები გარბიან ერთი წარმოებიდან მეორეში, ერთი რაიონიდან მეორეში და ეს იმდენად ბუნებრივი და მასიურია, რომ აქ ხშირად შეხვდებით მუშას, რომელსაც ამ ხეტიალში ლუკმა პურისათვის და «დაკარგულ ბედის» ძიებაში მთელი საბჭოთა კავშირი მოვლილი აქვს ფეხშიშველს, დაფხრეწილს და მშიერს. ეს არის მიზეზი, რომ წარმოებას არსად საბჭოთა კავშირში თავისი კადრი არ შეუქმნია. მაგ. ამავე გუდაუთის საგარეუბნო მამულში 1932 წლის 24 მარტიდან 10 ივნისამდე 700 მუშა მოვიდა, იმუშავა 2-7 დღე და წავიდა. იმ 150 კაციდან, რომელიც ყოველ დღე მუშაობს, აქ სისტემატიურად მუშაობდა მხოლოდ 9 კაცი. დანარჩენები მივიდოდენ, იმუშავებდენ და, როგორც კი მოაგროვებდენ ბილეთის ფასს გზის გასაგრძელებლად, მაშინვე მიდიოდენ. ხშირად შეხვდებით «მოგზაურს» მოხუცებს და ქალებს ფეხშიშვლებს ბავშვების თანხლებით, რადგან მოხუცებს და პატიოსან ქალებს ფული ყოველთვის ნაკლები აქვთ და ხშირად ბილეთის ფულსაც ვერ შოულობენ. ეს დენა და მოძრაობა იწვევს ხშირად მუშების ჭარბად მოსვლას, ხშირად კი წარმოება განიცდის მუშა ხელის ნაკლებობას. ამ გარემოების სალიკვიდაციოთ მუშას, რომელიც სამუშაოდ მოდის ართმევენ პირობით ხელწერილს, რომ ის ექვსი თვის გაბმავლობაში არსად წავა. პირობის სიმტკიცისათვის მუშას ერთმევა ყოველგვარი საბუთები და ინახება კანცელარიაში, მას კი ეძლევა ცნობა, რომ იგი არის მუშა და მიმაგრებულია თანახმად მისი სურვილისა ექვსი თვით. აქ ექვსი თვით «ამაგრებენ» იმიტომ, რომ მებოსტნეობას მეტი დროით მუშა არ სჭირდება. ხოლო ზოგიერთი წარმოება კი წლობით ამაგრებს მუ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

შებს, მაგ. მიმაგრება 5 წლედის ბოლომდე და სხვა—სისტემათაა ქცეული. ხშირად მუშა პირობების გაუარესების გამო წარმოებას სტოვებს და უსაბუთოებოთ გარბის, სად?—თითონაც არ იცის. ამ გარემოებამ წარმოშვა ე. წ. «უსაბუთო მუშების» ახალი წრე, რომელთა რიცხვი თანდათან იზრდება. ეს «უსაბუთო მუშათა» მოძრაობა რაღაც შინაგან კანონს ემორჩილება: ერთ ადგილს ცოტას შეისვენებენ; მერმედ გზას გაუდგებიან ახალი ტანჯვების განსაცდელათ, ხოლო მათ ადგილზე ახალი ტალღა მოდის და ასე დაუსრულებლივ გრძელდება მთელი კავშირის სივრცეზე მუშათა ტალღების მოძრაობა—მოგზაურობა. ეს ფაქტი იმდენად საერთო და ყოველდღიური გახდა, რომ ამას ვერც კომუნისტური გაზეთები მალავენ. მაგ. კ. მგელაძე თავის მოხსენებაში სოხუმში ჩატარებულ აფხაზეთის კომკავშირის კონფერენციაზე აცხადებს (რასაკვირველია რუსულ ენაზე): «31 წლის მარტის პირველ დეკადში ტყვარჩელმშენის წარმოებაზე მოვიდა 280 მუშა, ხოლო წავიდა 480. აპრილის მეორე დეკადში მოვიდა 218, წავიდა—185 კაცი» («საბჭოთა აფხაზეთი» 3 ივნ. 32 წ.).

ასე გარბიან და გამორბიან მუშები ცოტათი მაინც უკეთესი პირობების საძებნელად. ამ გადასვლა-გადმოსვლის გადიდებას, ხალხის მიერ ბედის საძიებლად ჩაჩნურ ხეტიალს, ბოლშევიკები და მათი ლაქიები ყრილობებზე მოხსენებებში მიღწევებათ ასაღებენ და ამბობენ: წარმოების ზრდა და ქვეყნის კეთილდღეობა მასის მოძრაობას იწვევს და ეს არის მიზეზი ჩვენი ტრანსპორტის გადატვირთვის და იმ გარემოების, რომ მოსკოვში მთელი თვე სჭირდება ბილეთის შოვნასო. აქვე მოყავთ ციფრები მგზავრობის გადიდების შესახებ და აღტაცებით ხვდებიან იმას, რაც შედეგია საშინელი გაჭირვების და მუშათა კლასის არაჩვეულებრივი შევიწროების. ბოლშევიკები აქ ხედავენ ისეთ მდგომარეობას, როგორიც იყო ევროპაში წარმოების აღორძინების და ხალხთა მოძრაობის პირველ ხანაში. მაგრამ იმას არ უწევენ ანგარიშს, რომ მოძრაობა-მოგზაურობა აქ შედეგია წარმოების განადგურების, სოფლის მეურნეობის დაცემის, როგორც შედეგი მტაცებლური პოლიტიკის სოფლად და ბოლოს საშინელი ეკონომიური კრიზისის, რომლის მხგავსს არ განიცდის არც ერთი ქვეყანა, გარდა საბჭოთა კავშირისა.

უკანასკნელ ხანებში მომარაგება ძლიერ შესუსტდა ყოველგან. ამის მიზეზია მოგების დიდი სურვილი. მას შემდეგ რაც წარმოება გადავიდა ეგრედ წოდებულ სამეურნეო ანგარიშზე, ყველა დაწესებულება სპეკულიანტობს. ცდილობს, რაც შეიძლება მეტი მოგება ნახოს. კოოპერატივებს ამ დიდი მოგების საშუალებას აძლევს კომერციული ფასები. მუშებს თუ მისცემს საქონელს, უნდა მისცეს მის ჯამაგირთან ცოტათი მაინც შესაფერ ფასებში. მაგალ. უბრალო ტილოს ხალათს მუშას მიყიდიან 9 მანეთად. ეს მუშისათვის ხელმისაწვდომია, მაგრამ იმავე ხალათს კოოპერატივი კომერციულ ფასით გაასაღებს 32 მანეთად. მაშასადამე, თუ 9 მანეთიდან მას მოგება რჩება, მხოლოდ 1 მან. ეხლა დარჩება ერთი ხალათიდან 24 მანეთი მოგება. ამ დიდი მოგების გარანტიას ეწინააღმდეგება მუშისთვის საქონლის მიწოდება. ამის გამო მუშას საქონელს აღარ აწოდებენ და ყიდიან კომერციულ ფასებში. ამან გამოიწვია ერთის მხრივ მოგება, მაგრამ მეორე მხრივ ზარალი. კოოპერატივმა მოიგო—სხვა წარმოებებმა წააგო, რადგან ამას მოყვა მუშების გაქცევა ინდუსტიალურ წარმოებაში. ხშირად მუშა ინდ. მეურნეს ემსახურება მარტო საჭმელისათვის. განსაკუთრებით, აფხაზეთში აუარებელ ქალს ნახავთ, რომელიც იხვეწება გემსახურებით და ხელფასად კვება მომეცითო. სახელმწიფო დაწესებულება კი მას ხშირად იმდენსაც არ აძლევს, რომ თავი გამოიკვებოს.

კოოპერაციის მიერ საქონლის გაძვირებამ და პურის ნორმების შემცირებამ—კიდევ უფრო გააძლიერა მუშების გაქცევა ინდ. მეურნეობაში. ეს იყო ხელისუფლების პოლიტიკის მარცხი. ამან გამოიწვია ხელისუფლების მხრივ შეტევა მუშათა კლასზე. ის შეეცადა შეექმნა ისეთი მდგომარეობა, რომ სახელმწიფო მეურნეობიდან მუშების ინდ. მეურნეობისკენ დენა შეეცვალა და პირი ებრუნებია მუშებისათვის ინდ. მეურნეობიდან სახელმწიფო მეურნეობისაკენ. ამ მიზნის მისაღწევათ ხელისუფლებამ აქაც მიმართა ჩვეულებრივ ხერხს—ძალადობას და მუშებს მიუსია ჩეკის რაზმები. 1 და 2 მაისი გარეგნულად მშვიდობიანად ჩატარდა. ამ დღეს ჩატარებული მიტინგები ხელისუფლებამ გამოიყენა დაზვერვის საშვალებად. ამ დღეებში უკვე გამოყო ხელისუფლებამ რაზმები, შემდგარი ჩეკისტების, მილიციონერების, პარტიულ და აქტიურ კომსომოლებისაგან. ეს ხალხი გაგზავნეს 3 მაისს სოფლებში და დაიწყო დაპატიმრება ყველა არა აფხაზის, რომლებიც სოფლად მუშაობდენ. არ ტოვებდენ დაუპატიმრებელს არც ერთ რუსს. აპატიმრებდენ არარუსებსაც: სომხებს, ქართველებს და სხვას. ადგილობრივი მცხოვრებთაგანი დააპატიმრეს მხოლოდ რამდენიმე იმ მიზნით, რომ საზოგადოება ვერ მიმხვდარიყო დაპატიმრების ნამდვილ მიზეზს. 1932 წლის 3 მაისიდან 6-დე აუარებელი ხალხი იქნა გარეკილი აფხაზეთის პატარა ქალაქებში: გაგრაში, გუდაუთში, სოხუმში და სხვაგან. ამ დაპატიმრებებმა გამოარკვია, რომ უკანასკნელ ხანებში რუსების გადმოსახლების შედეგად აფხაზეთში თავი მოუყრია რამდენიმე ათასს გადმოხვეწილ რუსს. ზოგიერთ სოფლებში დაპატიმრებები დაიწყო 2 მაისს. აპატიმრებდენ ქუჩაში, კინოში, ბაღში, ზღვის პირად და ოჯახებში. სახელმწიფო დაწესებულებებში არ აპატიმრებდენ, საერთო საცხოვრებლებში არ მიდიოდენ, მაგრამ, თუ ქუჩაში გავიდოდა მუშა რუსი, მას ხელს სტაცებდენ და იქვე ამწყვდევდენ. მუშები ადვილი საცნობია დღეს: დახეულ-დაგლეჯილი ტანსამოსი, ფეხშიშველი და გატანჯული სახე—ურყევი პასპორტია დღევანდელი «სოციალისტური სამოთხის» მუშის.

ამ დროს ქალაქი გუდაუთი მთლიანად ერთ დიდ საპატიმროს წარმოადგენდა. პატიმრებისთვის დანიშნული სარდაფები ვერ იტევდენ ტუსაღებს და ამიტომ საჭირო გახდა ლიხინის ქუჩაზე არსებული ღვინის ძველი სარდაფი თავისი ეზოთი სატუსაღოთ გა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

დაექციათ. ეს უზარმაზარი სარდაფიც თავისი ეზოთი გაივსო ტუსაღებით. ტუსაღებს თავს ადგენ მილიცია და ჩეკა. მოპყრობა საშინელი, მხეცური. აპატიმრებდენ, უმთავრესად, ოჯახის უფროსებს და ახალგაზდებს. ხშირად ქალებსა და მამაკაცებს ერთად ყრიდენ სატუსაღოში. საინტერესო სანახაობას წარმოადგენდა, როცა მოყავდათ ეს გატანჯული ხალხი სოფლებიდან. მუშები სულ დატვირთული იყვენ თავიანთი იარაღებით, ზოგს მოქონდა სიგრძის ხერხი, ზოგს უბრალო ხერხები, ზოგს სადურგლო ხელსაწყოები, ზოგს სალესი მოწყობილობები და სხვა. მორეკავდენ და მშიერს ყრიდენ სატუსაღოში. უკან ამ პატიმრებსა და დარაჯებს მოსდევდენ დედაკაცები, ფეხშიშველი და ძონძებში გახვეული ბავშები. პატიმრებთან არ უშვებდენ და მათაც ისე ეპყრობოდენ, როგორც დიდ ბოროტმოქმედს. ხშირად უხეში მოპყრობა ტუსაღების მოთმინების ფიალას ავსებდა. მაგ. 5 მაისს საღამოთი ლიხინის ქუჩაზე მოთავსებულ პატიმრებთან მყოფ მილიციელმა მუშტი გაარტყა ქმრის სანახავად და საჭმელის გადასაცემათ მოსულ ქალს და მთელი დღის ფეხზე ნადგომი საბრალო ქალი იქვე ჩაიკეცა. ყველაფერი ეს ტუსაღების თვალწინ მოხდა (ტუსაღების ნაწილით ეზო სავსე იყო). ამ სურათის დანახვაზე ტუსაღებმა ქვებს ხელი დაავლეს და მილიციელებს დაუშინეს. საშინელი მარცხი აცილებულ იქნა მილიციის უფროსის შემთხვევით გამოჩენით, რომელმაც ეს დარაჯები მოხსნა და აქ სხვები გადმოიყვანა.

ასეთი საზიზღარი მოპყრობა ჩვეულებრივი ამბავია ჩვენში და რა გასაკვირია, თუ მაისის მასიური დაპატიმრების დროს ეს კიდევ უფრო გადიდდა.

7-8 მაისიდან დაიწყო ტუსაღების ადრიცხვა: მათში უფრო თვალსაჩინო, წარმოსადეგი და შეგნებული, ხოლო არა ბოლშევიკი—გადაგზავნეს ჩეკის სარდაფებში. დანარჩენები დაიყო სამ კატეგორიათ: პირველ კატეგორიაში მოხვდენ ყოფილი პარტიზანები, რომლებმაც ბოლშევიკობას და სოფელს თავი მიანებეს მას შემდეგ, რაც მთავრობამ ასეულ ფუთ პურიდან ათი ფუთი პური დაუტოვა; მეორე კატეგორიაში მოხვდენ კოლმეურნეობის წევრები და მუშა-მოსამსახურენი, რომლებიც გამოექცენ რუსეთში არსებულ ჯოჯოხეთურ პირობებს. მესამე კატეგორიაში მოხვდენ ინდ. მეურნეები, რომლებმაც არ ისურვეს კოლექტივებში შესვლა, მიატოვეს სახლ-კარი უპატრონოდ და ცოლშვილით უსაბუთოდ გამოიპარენ (თუ გინდ საბუთი ქონოდათ, ეს საქმეს არ შველოდა). ამის შემდეგ მუშები დაანაწილეს სხვადასხვა სახელმწიფო სამუშაოებზედ და მისცეს წინადადება ემუშავნათ იქ, სადაც მიიმგზავრებდენ. სოფლად ცხოვრების ნებას არავის აძლევენ, თუ იქ არ იყვენ გაგზავნილი სახელმწიფო სამუშაოზე. ეს «ვერბოვკა» ათი დღე გაგრძელდა. ასე რომ ვინც 12-15 დღეში არ გამოუშვეს, იგი უკვე საბოლოო ტუსაღათ ითვლებოდა და მათ მოელოდათ ციმბირი. ასეთი კი ბევრი იყო. უმთავრესად ამაგრებდენ ისეთ სამუშაოზე, სადაც ხელფასი ძლიერ მცირე იყო და პირობები ცუდი და თავის ნებით არც ერთი მუშა არ მიდიოდა. ამით ხელისუფლებამ «გააკეთა» ორი საქმე: ერთის მხრივ მან გიდმორეკა მუშები ერთი დაკვრით ინდ. მეურნეობიდან კოლექტიურ და საბჭოთა მეურნეობებში, და მეორეს მხრივ ცოტათი შეაჩერა რუსების მუძრაობა რუსეთიდან. დაჭერის შიშით ბევრი ბრუნდებოდა უკან, ან აგრძელებდა გზას ბათუმამდე და მიდიოდა აღმოსავლეთ საქართველოსა და აზერბეიჯანში. ცნობილია, რომ ქართველებში რაჭველები ყველაზე უფრო დაფანტულნი არიან, რადგან რაჭას საკმაო პური არ მოდიოდა და, აი დღეს რაჭაშიაც კი აუარებელი რუსები გადავიდენ ბედის საძიებლად.

ერთი თვის შემდეგ ეს დაპატიმრება დაავიწყდათ დაპატიმრებას შეჩვეულ რუსებს და დენა ინდ. მეურნეობისაკენ ისევ განახლდა მეტის სიძლიერით. სახ. წარმოებებში (სოვხოზებში) კვლავ შემცირდა მუშა ხელი, ხოლო ინდ. მეურნეობებში აუარებელი მუშები შეგროვდა. კვლავ უჩნდება სამუშაო ბოლშევიკების დოსტაქარს—ჩეკას. ვფიქრობ მალე მაისის ტრაღედია განმეორდება.

გენე.

აფხაზეთი. 1932 წ.

საქართველოს დამოუკიდებლობა და კავკასიის ერთობა *)

დიდი მღელვარებით ვიღებ სიტყვას, რომ დავიცვა თქვენს წინაშე საქართველოს დამოუკიდებლობის საქმე. ეს საქმე ღირსია დღეს უფრო, ვიდრე როდისმე, წარსდგეს განათლებული ქვეყნიერების სამსჯავროს წინაშე. 1918 წ. 26 მაისს საქართველომ, ერთ საუკუნეზე მეტის მონობის შემდეგ, კვლავ აღადგინა თავისი დამოუკიდებლობა. ხოლო რამდენიმე წლის მერმე უცხო ჯარებმა ისევ დაიპყრეს და დაადვეს შეუწყნარებელი და საძრახისი უღელი. ასეთია ფაქტები, საჭიროა გარკვევა მათი იურიდული შინაარსისა; საჭიროა განსაკუთრებით გაშუქება იმის, რომ ფაქტიური მდგომარეობა, რომელიც კვლავ გრძელდება, მდგომარეობა ძალადობისა არაფერს სცვლის საქართველოს სახელმწიფოს იურიდულ ვითარებაში.

როგორ—შეიძლება ვინმემ იკითხოს: განა რომელიმე სახელმწიფოს იურიდულ ვითარებას მისი ფაქტიური მდგომარეობა არ განსაზღვრავს? ფაქტი განა აუცილებელი საფუძველი არაა უფლების? პოლიტიკური დამორჩილება განა არ სპობს სუვერენობას? ჩემის აზრით არა, და დავიმოწმებ საჯარო უფლების დიდს ავტორიტეტს, იურისტს იელინეკს. იგი ამბობს: «უნდა კარგად გავარჩიოთ თვალსაზრისი პოლიტიკური და თვალსაზრისი იურიდული. იურიდულ დამოუკიდებლობას შეუძლია სრული თანაარსებობა პოლიტიკურ დამორჩილებასთან. ამ განსხვავებას. პრაქტიკული თვალსაზრისით, დიდი მნიშვნელობა აქვს: როცა სახელმწიფო იურიდულად

*) მიხ. მუსხელიშვილის სიტყვა ცრანგულად წარმოთქმული პარიზში 26 მაისის დღესასწაულზე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

დამოუკიდებელია,—რაც უნდა ძლიერი იყოს მისი ფაქტიური დამოკიდებულება, იგი სუვერენულია და შეუძლია მოითხოვოს ყველა ის უფლება, რომელიც მას ეკუთვნის საერთაშორისო სამართალით».

ეს დებულება პირდაპირ შეეფერება საქართველოს. ძალით, ჯარების საშუალებით დაპყრობილს საქართველოს სრულებით არ დაუკარგავს სუვერენობის უფლებანი. გვინდა ეს განვმარტოთ ორიოდე სიტყვით.

საჭიროა შორეულ ისტორიაში ჩახედვა? საჭიროა გახსენება საქართველოს უსამართლო და ტლანქი ანექსიისა რუსეთის მიერ 1801 წ. წინააღმდეგ საპროტექტორატო ხელშეკრულობისა, რომელიც დადებულ იქნა 1783 წ. ივლისის 24 საქართველოს სახელმწიფოსა და რუსეთის იმპერატრისა ეკატერინე მეორეს შორის? ამ ხელშეკრულობის ძალით (მუხ. 2 და 6) რუსეთს უნდა დაეცვა საქართველოს მთლიანობა გარეშე თავდასხმისაგან. მაგრამ რა მოხდა? წინააღმდეგ ამ დაპირებისა რუსეთმა ცალმხრივი მოქმედებით შეიერთა საქართველო და ძალით დაუმორჩილა თავის მართველობას. ნურავინ იფიქრებს, რომ 1783 წ. პროტექტორატის ხელშეკრულობამ შელახა საქართველოს სახელმწიფოს სუვერენობა. პარიზის უნივერსიტეტის პროფ. Le Fur-მა ადვილად გაარკვია ეს საკითხი თავის წერილში (ამის თარგმანი ქართულადაც დაიბეჭდა). ანექსიის ერთად ერთი შედეგი ის იყო, რომ მან შექმნა წმინდა ფაქტიური მდგომარეობა ნაცვლად წინანდელი იურიდიული მდგომარეობისა. იურიდიული არსება დარჩა ურყევი; მარტო ძალას არა შეუძლია რა უფლების წინააღმდეგ, ადრე თუ გვიან უფლება თავისას გაიტანს.

და ასეც მოხდა 1918 წელს: ბოლშევიკების რევოლუციას მოჰყვა რუსეთის მართველობის გაუქმება საქართველოში. საქართველოს სახელმწიფო აღსდგა—ახალი კი არ შობილა. ძველი სახელმწიფო კვლავ აღსდგა და გამოჩნდა საერთაშორისო სარბიელზე. მოხდა, რასაც უწოდებენ «საერთაშორისო იურიდულ პიროვნების აღორძინებას (რენესანს)» (იელინეკი).

ამას მაინც დიდი მნიშვნელობა არა აქვს, ვინაიდგან არავისთვის საეჭვო არაა საქართველოს არსებობა, როგორც დამოუკიდებელი სახელმწიფოსი 1918-1921 წლ. ყველამ უწყის, რომ იგი იცვნეს de jure ევროპის და სხვა ქვეყნის მრავალმა სახელმწიფოებმა. ხოლო უდიდესი მნიშვნელობა იმას აქვს, რომ თვით რუსეთმა იცნო საქართველოს დამოუკიდებლობა 1920 წ. მაისის 7 ხელშეკრულობით. აი რას ამბობს სახელდობრ ამ ხელშეკრულობის პირველი მუხლი: «რუსეთი აღიარებს ყოველივე პირობის გარეშე საქართველოს დამოუკიდებლობას და სუვერენობას და უარს ამბობს სრული ნებით ყოველ სუვერენულ უფლებაზე, რომელიც ეკუთვნოდა რუსეთს ქართველი ერისა და მისი ტერიტორიის მიმართ». გარდა ამისა ამ ხელშეკრულობით რუსეთი ვალდებულებად იღებდა, არ ჩარევოდა საქართველოს შინაურ საქმეებში. მაგრამ მიუხედავად ამისა რამდენიმე თვის შემდეგ რუსეთი თავის ჯარებით შეესია საქართველოს და ცხარე ბრძოლებით დაიმორჩილა იგი. ამის მერმე საქართველო ს. ს. რ. კ-ის ფარგალშია მოქცეული.

ამგვარად ერთი საუკუნის ცოტა მეტის მანძილზე რუსეთმა ორჯელ უარჰყო თავისი ხელის მოწერა და გათელა ფეხით საერთაშორისო ვალდებულება. ხელახლა სძლია ტლანქმა ძალამ უფლებას. ხოლო უფლება რჩება უფრო ცოცხალი, ვიდრე არასოდეს ყოფილა. საქართველოს სუვერენობა უარყოფილია ფაქტიურად, მაგრამ მაინც არსებობს იურიდულ თვალსაზრისით. უნდა აღინიშნოს ყოვლის უწინარეს, რომ ქართველ ხალხს არასოდეს უცვნია ფაქტი რუსების ოკუპაციისა. საკმაოა გავიხსენოთ 1924 წ. აგვისტო-სექტემბრის აჯანყება, რომელიც მხეცურად ჩაქრეს ოკუპანტებმა. ამის შემდეგ ამბოხებამ თითქმის მუდმივი ხასიათი მიიღო, ხან აქ იფეთქებს და ხან იქ. ეს წინააღმდეგობა საუკეთესო საბუთია რუსების ოკუპაციის უკანონობისა. მეორე მნიშვნელოვანი გარემოებაა უცხოელ სახელმწიფოების სხვა და სხვა საერთაშორისო აქტები, რომლითაც არ იცვნეს ს. ს. რ. კავშირის სუვერენობა საქართველოზე, ყველას ვერ დავასახელებთ აქ: საერთაშორისო კონფერენციებზე (გენუასა და ლოზანაში) რუსეთის დელეგატი ამაოდ ცთილობდა ყოფილიყო მიღებული საქართველოს წარმომადგენელადაც. თვით ნაციათა ლიგამ არ იცნო საქართველოში შექმნილი ფაქტიური მდგომარეობა. ყურადღების ღირსია, რომ არც ცალკე სახელმწიფოები, არც ნაციათა ლიგა არ სთვლიან კანონიერად რუსეთის შესვლას საქართველოში.

უდავოა, რომ საქართველოს პოლიტიკური დამოკიდებულება არ ახდენს გავლენას მის იურიდულ მდგომარეობაზე. ტყვილად ცთილობენ ზოგიერთები ფაქტის ხანგრძლივობის გამოყენებას: მფლობელობამ რომ იურიდული სახეობა მიიღოს, მას ესაჭიროება განსაზღვრული პირობები. არც ერთი ასეთი პირობა არ არსებობს საქართველოს ოკუპაციაში. ეს საუცხოოდ გვიჩვენა იმავე Le Fur მა.

ამ უეჭველ იურიდულ ვითარებას ზედ ერთვის ქართველი ერის მთლიანობის სიმძლავრე. ნუ დავიწყებთ, რომ დღეს პირველად არაა, რომ ეს მამაცი და კეთილშობილი ერი მძიმე განსაცდელში იმყოფება. მისი ისტორია სავსეა ბრძოლებით თავდამსხმელების წინააღმდეგ და ეს ბრძოლები ბოლოს და ბოლოს გამარჯვებით და განთავისუფლებით მთავრდებოდა. უცხოთა უღელი უცხო არაა ქართველებისთვის. მაგრამ ისინი არასოდეს მისცემიან სასოწარკვეთილებას, არასოდეს დამორჩილებიან მტერს და მათ ყოველთვის ასულდგმულებდა თავისუფლების წყურვილი და განთავისუფლების გარდაუვალობის იმედი. მუდმივ ბრძოლებში გამობრძმედილი ქართველი ერი გამოდის უფრო გაერთიანებული და ეროვნულად გაძლიერებული. ეს მთლიანობაა მისი დიდი ძალა და დიდი იმედი. იგი არასოდეს დაჰკარგავს ამ იმედს. დეე, გაიხსენოს ბედი მრავალი ერისა—ბერძნების, პოლონელების, ჩეხების, ირლანდელების და სხ., რომელთა შესძლეს თავის ეროვნულ ერთობის შენახვა ურიცხვ და მძიმე გასაჭირთა სიგრძეზე

ეროვნული ბიბლიოთეკა

და ბოლოს დაბოლოს დაიბრუნეს დაკარგული თავისუფლება.

არ შემიძლია, საქართველოზე რომ ვლაპარაკობ, არ მოვიგონო მისი მეზობლები—სომხეთი, აზერბეიჯანი და ჩრდილო კავკასია, რომლებიც ამგვარსავე უსამართლობას განიცდიან. ამათაც ჰქონდათ დამოუკიდებლობა, რომელიც ყველამ იცნო. მათ ასულდგმულებთ წყურვილი თავისუფლებისა, რაიც მიზანია ყველა შეგნებულ ერისა. ესენიც გახდნენ მსხვერპლნი საბჭოთა ბუმბერაზისა, რომლის იმპერიალიზმს საზღვარი არ უჩანს.

დღეს კავკასიის ყველა ერები იმყოფებიან საბჭოთა ჯარების შეუწყნარებელ ბატონობის ქვეშ. ამ განსაცდელმა ჭკუა უნდა ასწავლოს მათ: საჭიროა კავკასიელთა ერთობა. ვინ იცის, ეგებ კავკასიის ბედი სხვანაირად დატრიალებულიყო, რომ ეს ერთობა განხორციელებული ყოფილიყო 1918 წ. ხოლო მაშინ კავკასიელთ გამოცდილება აკლდათ; უთანხმოების გამო კავკასიის რესპუბლიკები დანაწილებულნი იყვნენ. ამ მიზეზით დაიშალა ამერ-კავკასიის კონფედერაცია 1918 წ. აპრილის 22 გამოცხადებული. მიუხედავად ყველას სურვილისა, მიუხედავად საგანგებო კომისიის დანიშვნისა კავკასიის ხელშეკრულობის შესამუშავებლად (კომისიაში ჩრდილო-კავკასიელნიც იღებდენ მონაწილეობას), მიუხედავად ამიერ-კავკასიის სეიმის არსებობისა—ერთმანეთის გაუგებრობა ისეთი იყო, რომ დაშლა აუცილებელი შეიქნა. კავკასიის რესპუბლიკები ცალცალკე გადგნენ საკუთარ ინტერესების საზიანოდ.

დამარცხების შემდეგ კავკასიის სახელმწიფოთა კანონიერ მთავრობათა წარმომადგენლებმა 1921 წ. ივნისის 10 და ხელმეორედ 1924 წ. ოკტომბერში განაცხადეს მათი სახელმწიფოების ერთობის საჭიროება. დრომ თავისი გააკეთა და დღეს უკვე შემუშავებულია და მსჯელობის საგნადაა გამხდარი კავკასიის კონფედერაციის პაქტის პროექტი. იმედი ვიქონიოთ, რომ მსჯელობამ და მოლაპარაკებამ დადებითი ნაყოფი მოგვცეს და კავკასიის კონფედერაცია დამტკიცდეს ქაღალდზე და მერე ეღირსოს რეალურ სიცოცხლე.

მაგრამ განა არ არსებობს უკვე ფაქტივურად ამიერ-კავკასიის ფედერაცია? ასეთი არაა უზარმაზარი ს. ს. რ. კავშირი? მაშ რისთვისღა მოვითხოვოთ ახალი კავშირი და უარვყოთ, რაც უკვე არსებობს? ამის პასუხი ძნელი არაა: საბჭოთა ფედერალიზმი მხოლოდ გარეგნობაა, რომლის უკან ამოფარებულია სასტიკი დიქტატურა. სინამდვილეში აგრე წოდებული დამოუკიდებელი რესპუბლიკები და ფედერაციები მოკლებულნი არიან ყოველ უფლებას და ხმაშეუბრუნებლივ უნდა დაემორჩილონ მოსკოვიდან ნაკარნახევ პოლიტიკას.

ფედერალიზმის ბუნება შეურიგებელია დიქტატურასთან, ერთი მეორის წინააღმდეგობაა: ფედერალიზმის არსებაა თავისუფალი თანამშრომლობა და სულიერი კავშირი. ფედერალიზმი ერთობაა და არა გაერთება. მართალია ს. ს. რ. კ. კონსტიტუცია ნებას აძლევს შემავალ რესპუბლიკას, თავისუფლად გამოეყოს კავშირს, მაგრამ ფაქტივურად ეს განუხორციელებელია, რადგან რესპუბლიკათა მთავრობანი დამოკიდებულნი არიან ცენტრალურ მთავრობისაგან და კომუნისტური პარტია, რომელიც ერთად ერთი პარტიაა საბჭოთა მთელ ტერიტორიაზე, წარმოადგენს დისციპლინით მკაცრად შეერთებულ ერთს ბლოკს, სადაც მყისვე იქნება ჩაკლული ყოველივე სუსტი სურვილიც დამოუკიდებლობისა.

კავკასიის ერებს არ უნდათ ფიქტიური კავშირი. საეჭვო არაა, რომ როგორც დაუმხობა საბჭოთა ხელისუფლება, კავკასიის ერთობა აშენდება სულ სხვა საფუძველზე, უფრო საღსა და მტკიცეზე.

ფედერალიზმს ბევრნაირი სახე აქვს, ხოლო შეიძლება ყველა ფორმა ორ რიგად დავყოთ: ერთია სახელმწიფოთა კონფედერაცია, მეორე—ფედერალური სახელმწიფო. მათ შორის მნიშვნელოვანი განსხვავებაა. სახელმწიფოთა კონფედერაცია უფრო სუსტი კავშირია, რომელიც უკეთ იცავს შემავალ სახელმწიფოების სუვერენობას. ნაციათა ლიგა, თუ მხედველობაში არ მივიღებთ ზოგიერთს თავისებურობას, ამის საუკეთესო ნიმუშია. კავკასიის კავშირი უნდა იქნეს ამ ტიპის. კავკასიის კონფედერაციის პაქტი ამ მიმართულებითაა შედგენილი. მისი მიზანია განამტკიცოს კავკასიის რესპუბლიკათა დამოუკიდებლობა, ემსახუროს მშვიდობიანობას და განავითაროს საერთო კეთილდღეობა. შემავალ რესპუბლიკების სუვერენობა შეზღუდულია მხოლოდ იმ საგნების შესახებ, რომელთაც პაქტი გარკვევით და გამორიცხვითი წესით გადასცემს კონფედერაციის ხელისუფლებას. ეს მნიშვნელოვანი საგნებია, ასეთია სახელდობრ რაც ეხება დამოუკიდებლობის გამტკიცებას და საერთო კეთილდღეობას.

მაგრამ განზრახული საქმის წარმატებისთვის საკმაო არაა მარტო პაქტის შეკვრა. დიდი მნიშვნელობა აქვს იმას, რაზედაც პაქტი არრას ამბობს, ხოლო კი ჰგულისხმობს—ესაა ფსიქოლოგიური ელემენტი, სათანადო სულიერი განწყობილება, ურომლისოთ ყოველივე აღნაგები დაიმსხვრევა. კავკასიის კონფედერაციისთვისაც ესევე ითქმის—მის წარსამატებლად საჭიროა საერთო კავკასიური სული.

რა არის ეს კავკასიური სული? ხომ არ უპირისპირდება იგი შემავალ რესპუბლიკების ერთა სულს? სრულებით არა. საღი ნაციონალიზმი სავსებით შეუთანხმდება და შეეგუება ინტერნაციონალიზმს. კავკასიური სული ნიშნავს იმას, რომ კერძოსა და საერთოს უთანხმოების დროს ჩვენ სათანადო ანგარიში გავუწიოთ საერთო ინტერესს. უნდა გვახსოვდეს, რომ თითოეული კავკასიელ ერის ბედნიერება დამოკიდებულია მთელი კავკასიის კეთილდღეობაზე. კავკასიის კონფედერაციის წარმატებას სჭირია სულიერი ერთობა და ყოველი კავკასიელის მოვალეობაა, მთელი თავის ძალღონით ხელი შეუწყოს ამგვარი მდგომარეობის შექმნას.

ეროვნული ბიბლიოთეკა

წერილი საქართველოდან

ამ ერთი კვირის წინად საქართველოდან მიღებული კერძო წერილი გადმოგვცემს: «... ყველგან ნამეტანი გაჭირვებაა. მუჭადი სანატრელია, ხალხი ბალახით და უმწიფარი ხილით ცხოვრობს. სოფლებში კომუნისტებიც გაჭირვებულნი არიან, მაგრამ ეშინიათ და ხმას ვერ იღებენ. ტფილისშიაც კომუნისტებს შორის დიდი პანიკაა; არ იციან რას შვრებიან და როგორ უშველონ გაჭირვებას. ყოველ ნაბიჯზე ქურდობა და ყაჩაღობაა. კომუნისტი და არაკომუნისტი ყველა ჰგრძნობს, რომ ინდუსტრიალიზაციამ და კოლექტივიზაციამ დაღუპა ქვეყანა, ხოლო უკან დასახევი გზა არა აქვთ. ამისთანა გაჭირვება არასოდეს ყოფილა. ყველანი იმის იმედით ცხოვრობენ, რომ კომუნისტური წყობილება მალე დაიმსხვრევა. თვით ბოლშევიკებიც კი ოცნებობენ ახლანდელი რეჟიმის დაქცევაზე, მაგრამ იმის ეშინიათ, რომ ხალხი შურს იძიებს და ამოხოცავს გადატრიალების შემდეგ...

უარესი ამბებია რუსეთში, მთელი ხალხი შიშველ-მშიერია. ყველა მათხოვრობს, ქურდობს ან ყაჩაღობს. ურიცხვი ადამიანი იხოცება შიმშილით. რკინის გზის სადგურებზედაც შეხვდებით ასეთ დახოცილებს. ყოველი მხრით გესმით: «ვკვდებით, პური გვინდაო!» ჭამენ ყოველგვარ სისაძაგლეს. კაცის ხორცს მთელი რუსეთის სოფლებში სჭამენ, თუ კი იშოვნეს...

დღემდის წითელი ჯარი უზრუნველყოფილი იყო, მაგრამ დღეს აქაც შემოაკლდათ. ამ ნიადაგზე ჯარის კაცებშიც უკმაყოფილება გაჩნდა. პირდაპირ ჯოჯოხეთია...

ამავე დროს ბოლშევიკური მთავრობა ურცხვად ავრცელებს ხმებს, რომ უცხოეთში უარესი ამბებია —შიმშილობა, უმუშევრობა, გაფიცვები, არევ-დარევა, არაფერი იშოვება, რომ მუშები შიმშილით წყდებიან და კაპიტალისტები დახოცილ მუშებს ძაღლებს აჭმევენ.

განა დასაჯერებელია ეს?»

მეტი სიფრთხილე, მეტი წინდახედულება

ბერლინის გაზეთში მოთავსებულია იქაურ ქართველების ერთი კრების მოკლე ანგარიში. თავის შემადგენლობით კრება არ გამოხატავდა ბერლინში მყოფ ყველა ქართველების აზრს, რადგან მას არ დასწრებია ზოგიერთ ჯგუფთა წევრები.

კრებას უთათბირნია ჩვენი ქვეყნის საქმეებზე, დაუგმია ჩვენი მთავრობა, ეროვნული ცენტრი და გადაუწყვეტია უცხოეთში მყოფ მთელი ქართველ ემიგრაციის კონფერენციის მოწვევა ახალი პოლიტიკური ცენტრის შესადგენათ.

ჩვენს ყურადღებას, პირველ ყოვლისა, ერთი დადებითი ფაქტი იპყრობს. გერმანიაში დიდი პოლიტიკური ცვლილება მოხდა, დამყარდა ახალი რეჟიმი და ეს უკანასკნელი არამც თუ არ ეწინააღმდეგება ჩვენს ეროვნულ მისწრაფებათ, არამედ საშუალებასაც კი აძლევს ჩვენს პოლიტიკურ ლტოლვილებს კრებები მოიწვიონ და თავისუფლათ იმსჯელონ თავის შინაურ საქმეებზე. ჩვენ ეს არ გვიკვირს, გვახარებს კიდეც, რადგან ქართველი ერის განმათავისუფლებელ ბრძოლის ერთ-ერთი ძირითადი პირობა იმაში მდგომარეობს, რომ მის საქმეს მეგობრულათ მოეპყრან ყველა სახელმწიფონი და ერნი, განურჩევლათ წესწყობილებისა.

როგორ გამოიყენეს ჩვენმა თანამემამულეებმა გერმანიის ეგზომი სტუმართმოყვარეობა? ჩვენ ვშიშობთ, ისინი ვერ შემაგრდენ «ზეპარტიულ» სიმაღლეზედ და მასპინძელზეც ვერ მოახდინეს კარგი შთაბეჭდილება. აბა როგორ უნდა მოეხდინათ კარგი შთაბეჭდილება, როცა ქართველ ერის შინაური საქმეთ საკითხები, ბრძოლის და ორგანიზაციის ამოცანები გარეთ გამოიტანეს, მტრის გასახარათ, მოყვრის საწყენათ? ისინი თითქო ვერ ამჩნევენ, რომ გერმანელთ ასეთი საქციელისთვის სჯიან!

ჩვენ ვფიქრობდით, საქართველო, მიუხედავათ უცხო ულისა, სახელმწიფო იყო და არის, მაშასადამე, აქვს თავისი პოლიტიკა, დიპლომატია, მოპოებული აქვს ერთგვარი საერთაშორისო პოზიცია, რომლის დაცვა, გამაგრება საღვთო მოვალეობაა ყოველ პატრიოტისათვის. ბერლინელ ქართველებს თითქო მხედველობიდან გამოეპარათ ყველა ეს, კიდევ უარესი—პირად გაგულისებისათვის შეუწირავთ იგი.

ჩვენ გვესმის ოპოზიცია, იგი კანონიერია, აუცილებელიც, თუ გნებავთ, მაგრამ ისე შორს წასვლა, რომ დაჰკარგო გარჩევის უნარი, რაა დასაშვები და არა-დასაშვები, დიდათ სამწუხაროა განსაკუთრებით ამ უაღრესათ საპასუხისმგებლო მომენტში.

აიღეთ მეთოდი. ჩვენ მოწმენი ვართ სახელმწიფო გადატრიალებათა, ერთი ასეთი და ყველაზე საყურადღებო გადატრიალება თვით გერმანიაში მოხდა. მიმბაძველობა ყოველთვის როდია ცუდი, ნიკო ნიკოლაძე ოხუნჯობდა: ქართველები მაიმუნები ვართო, მაგრამ საჭიროა ამაშიც ზომა და დაკვირვება. ნაციონალ-სოციალისტებმა თავის სახლში მოახდინეს გადატრიალება, ხოლო ჩვენი თანამემამულენი მის გარეთ ლამობენ მოხდენას!

მართალია, ქართველი ერი ამ ჟამად მოკლებულია ფიზიკურ საშუალებას საჯაროთ გამოამჟავნოს თვისი ნებისყოფა, მაგრამ ერთი ხომ ყველამ ვიცით: ის იბრძვის დამოუკიდებლობისათვის თავის ეროვნულ დროშის ქვეშ და ყველა პოლიტიკური პარტიები, გარდა არამზადა კომუნისტებისა, ჩაბმულია ერთ ფერხულში, შეადგენენ მთლიან ეროვნულ ფრონტს. ამ უკანასკნელს არამც თუ არ უფიქრია თავის თავის გაუქმება, არამედ მისი კარნახით დაარსდა თავის დროზე ეროვნული ცენტრი პარიზში. ეროვნული ცენტრი არის, მაშასადამე, საქართველოში მებრძოლ ეროვნულ პარტიათა ემანაცია და მუშაობს მათი დირექტივებით. არის თუ არა მიზანშეწონილი, გონიერი, სასარგებლო შინაური შუღლი ისე გაამწვავო, რომ რაღაც ახალი პოლიტიკური ცენტრის დაარსება განიზრახო? რომელ წყაროდან ეზიდებიან ჩვენი თანამემამულენი ავტორიტეტს,

ეროვნული ბიბლიოთეკა

პრესტიჟს თავის ახალი ცენტრისთვის? არიან ისინი დარწმუნებული, რომ ქართველი ერი იცნობს მას?

კიდევ უფრო სამწუხაროა, ვიტყოდით დაბრმავებაა, როცა ჩვენს მთავრობას «მენშევიკურად, მარქსისტულად» აღიარებენ. არა, ის არის ეროვნული მთავრობა, შობილი უზენაეს ორგანო—დამფუძნებელ კრების წიაღიდან, რომელმაც ბევრ სხვა ახალ სახელმწიფოებს გაუსწრო და თავისი კონსტიტუცია დასწერა. სანამ ქართველ ერს არ აღუდგენია თავისი უზენაესობა, ვის შეუძლია მისი კანონიერი მთავრობის გადაყენება? ის გადააყენა მტერმა, მართალია, მაგრამ ჩვენ ხომ ერთი წუთითაც არ შეგვიძლია დავუშვათ, რომ ბერლინის ქართველები მის ბანაკში გადვიდენ!

ნუ თუ ეს მარტივი აზრები მიუწდომელია ჩვენი თანამემამულეთათვის? გვესმის, შეიძლება არ მოგწონთ ეს მთავრობა, შეგიძლიათ გააკრიტიკოთ, ამის უფლებას არავინ გართმევთ, არც ჩვენი კონსტიტუცია გულისხმობს მთავრობის უცვლელობას, მაგრამ ჩვენ ხომ სრულიად არაჩვეულებრივ მდგომარეობაში ვიმყოფებით: მთავრობაც და მთელი ქართველი ემიგრაციაც 12 წელიწადზე მეტი უცხოეთში იმყოფებიან.

მთავრობა უძღვება ავათ თუ კარგათ ჩვენი ქვეყნის საქმეებს უცხოეთში. ვამბობთ «ავათ თუ კარგათ», რადგან ის მოწყვეტილია თავის ბაზას, მას ელობებიან ათასნაირი სიძნელენი, დაბრკოლებანი, მაგრამ ვისა აქვს სხვას უფლება ჩვენი ქვეყნის წარმომადგენლობა დაიჩემოს უცხოეთში? განა თვითონ დამფუძნებელმა კრებამ არ დააკისრა მას ბათუმში ეს მძიმე მოვალეობა?

ჩვენ სიხარული გამოვთქვით, რომ ქართველებს არ ესპობათ გერმანიაში საშუალება ემსახურონ თავის ქვეყანას, მათ არ დავიწყნიათ, იმედია, რომ ქართველ ერსაც მიუძღვის ცოტა რამ ამაში, მაგრამ რამდენათ უფრო დიდი იქნებოდა ჩვენი სიხარული, ჩვენს თანამემამულეთ რომ უკეთ გამოეყენებიათ შექმნილი მდგომარეობა! ჩვენ იმედს არ ვკარგავთ, ისინი თვითონ გაასწორებენ ჩადენილ შეცდომებს. ქართველთა დაჯგუფებანი ევროპის ყველა ცენტრებში ვალდებული არიან, ადგილობრივ შესაძლებლობათა მიხედვით, ეცადონ წინ წასწიონ თავის ქვეყნის საქმე, მოუპოვონ მას რაც შეიძლება მეტი მეგობარი.

ჩვენ პატარა ერი ვართ, თვითეული ქართველი სათვალავშია ჩასაგდები, ერთ წუთსაც ნუ დავივიწყებთ ამას. ჩვენ ხომ ისტორიული გამოცდილებაც გვაქვს, შინაური შუღლი და დავიდარაბა თუ ერთად ერთი მიზეზი არა, უპირველესი იყო ჩვენი უბედურებისა საუკუნეთა განმავლობაში.

რით მოგვწონს თავი, რით ვამაყობთ? იმით, რომ სახელმწიფოს ავი და კარგი გვესმის, ძალგვიძს მისი აგება, გაძღოლა, ვარჩევთ რაა გარეთ გასატანი, რაა შიგნით მოსაგვარებელი.

მეტი სიფრთხილე, მეტი წინდახედულება, ბატონებო!

საბჭოთა კავშირის ცხოვრებიდან

ბოლშევიკური კოოპერაცია.

საქართველოში კოოპერაციას კარგი მომავალი ქონდა. მისთვის ნიადაგიც არსებობდა და თავის დროზე შესაფერისი იდეური და პრაქტიკული მუშაობაც იყო გაწეული. მართალია, ამ მხრით კიდევ ბევრი იყო გასაკეთებელი, მაგრამ არსებულიც კარგის მაჩვენებელი იყო. სულ მოკლე ხანში, 1905 წლის რევოლუციიდან 1917 წლის რევოლიუციამდის ჩვენში კოოპერატიული მოძრაობა გავრცელდა, გაიზარდა და დამაგრდა. დამოუკიდებლობის ხანაში იგი ამ მხრით კიდევ უფრო განვითარდა,—ქონდა მთელს საქართველოში შესაფერისი ორგანიზაცია და ყავდა კოოპერატორთა გამოცდილი კადრი. რომ მის ამ ბუნებრივი, თავისუფალ განვითარებისთვის ხელი არ შეეშალათ, ეხლა იგი ჩვენს სახალხო მეურნეობაში უეჭველათ თვალსაჩინო როლს ითამაშებდა.

მაგრამ მისი განვითარება ხელოვნურათ შესწყვიტეს. ბოლშევიკები საქართველოს დაპყრობის შემდეგ კოოპერაციის დაპყრობასაც შეუდგენ. მათ ცოტა ხნითაც ვერ იგუეს თავისუფალი, დიქტატურისგან დამოუკიდებელი კოოპერაცია; გარეკეს ძველი გამოცდილი კოოპერატორები და მათ მაგიერ უვიცი პარტბილეთიანი ხალხი ჩააყენეს შიგ. საზოგადოებას წაართვეს მისი კანტროლის უფლება და კოოპერაცია სახელმწიფოსა და ჩეკას დაუმორჩილეს. ამრიგათ კოოპერაციას დაუკარგეს თავისი სახე და დანიშნულება და გადააქციეს უბრალო საბჭოურ-ბიუროკრატულ დაწესებულებათ. შედეგათ მივიღეთ ის, რაც მოსალოდნელი იყო. მაგრამ უმჯობესია ამაზე თვით კომპარტიის ცენტრალური ორგანო ვალაპარაკოთ. აი როგორ სურათს გვიხატავს 12 წ. ბოლშევიკური მუშაობის შემდეგ გაზ. «კომუნისტი» ამა წლის 27 მაისის ნომერში: «საქართველოს სამომხ. კოოპერაციის სავაჭრო წერტებში გაფლანგვა-მტაცებლობის შემთხვევებმა ამ ბოლო ხანებში ფართო ხასიათი მიიღო. 1932 წ. სამომხ. კოოპერაციაში გაფლანგვისა და მტაცებლობის 1182 შემთხვევას ქონდა ადგილი. გაფლანგულია 1.838.700 მან. სასამართლოზე გადაცემულია 643 საქმე. გაფლანგვის ყველაზე მეტ შემთხვევებს ადგილი ქონდა მუშათა დახურულ კოოპერატივებში. ამა წლის პირველ კვარტალში კი გაფლანგვა მოხდა ტფილისის მბეჭდავთა, სტუდენტთა და ინჟინერ-ტექნიკოსთა დახურულ კოოპერატივებშიც. ამას გარდა, განაგრძობს გაზეთი, გაფლანგვას ქონდა ადგილი «საკოოპროდუქტში» და «საქრძეფრინველში», რომელთა ხელმძღვანელობა მთლიანათ მოხსნილია და პასუხისგებაშია მიცემული»-ო.

როგორც ხედავს მკითხველი, ბოლშევიკური «ბოლო ხანები», კაი გვარიანი დიდი დროა. წინა წლებს რომ თავი დავანებოთ, რომელსაც ეხლა ბოლშევიკი ხელმძღვანელები არ იგონებენ, მთელი 1932 წელში კოოპერატივებში გაფლანგვა-მტაცებლობა უწარმოებიათ. «ცუდი პირი» ამ მხრით არც ამ წელს უჩანს. და ისმება კითხვა, როგორ გამოეპარა ყოველად შემძლე ჩეკას ყოველივე ეს? რათ ვერ ხედავდენ კომუჯრედები ამ ამბებს? ისინი ხომ ყოველ დაწესე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბულებებში არსებობენ და მათ მთავარ მოვალეობას კანტროლი და ჯაშუშობა შეადგენს? მათ უბრალო მოქალაქის ყოველი ნაბიჯი იციან და ნუ თუ ასეთი დიდი ფაქტი გამოეპარათ? მით უმეტეს რომ მთელი დანაკარგის 86,5 პროც. მოდის საქონელზე, ხოლო 12,8 პროც. ფულად საშვალებებზე. მთელი წლების განმავლობაში მაღაზიებიდან საქონელს იტაცებენ და პასუხისმგებელი კომუნისტები და ჩეკა ამას პოსტ-ფაქტუმ გებულობს და ეხლა ტეხენ განგაშს—«არიქა უშველეთ, კლასიური მტრები შემოგვეპარენ კოოპერაციაში»-ო!

ტყვილათ ცდილობენ ბოლშევიკი ხელმძღვანელები ყოფილ აზნაურებსა და ყოფილ მენშევიკებზე ყვირილით ნამდვილ დამნაშავეთა დამალვას. ხვალ რომ საქართველოს ჩეკის თავმჯდომარემ ტიტე ლორთქიფანიძემ ქურდობა ჩაიდინოს, მასაც ყოფილ აზნაურათ გამოაცხადებენ, ხოლო მის კომუნისტობას და ჩეკისტობას დამალავენ! მაგრამ დღეს ვინ არ იცის, რომ დანაშაულის სათავე დიქტატურაშია და დანაშაულის ჩამდენი კომუნისტები არიან, რომ «თევზი თავიდან არის აყროლებული». ამას ადადებენ თვით ბოლშევიკურ გაზეთებში მოყვანილი ცნობებიც კი.

გაზ. «საბჭოთა ვაჭრობისთვის» ცნობით: «სამტრედიის ქალაქის კოოპერატივის მე-4 მაღაზიის გამგემ, პარტიის წევრმა ქეთო კუნთელიამ (კიდევ კარგი რომ ყოფილი აზნაური არ არის. ალფა) 15 სექტემბრიდან 1 დეკემბრამდე გაფლანგა 2.400 მან. იგი მაღაზიის ჩაბარების დღიდანვე სისტემატიურათ ეზიდებოდა თავისთან სხვადასხვა საქონელს.

სამტრედიის სარაიონო სატრანსპორტო კოოპერატულ სავაჭროების 270 მუშიდან, დღეს პასუხისგებაში მიცემულია 165 კაცი, რომელთაც ბრალი ედება გაფლანგვასა და საქონლის განიავებაში». მაგრამ ასე ხდება არა მარტო სამტრედიაში, არამედ ასეთ მოვლენებს ადგილი აქვს, იმავე გაზეთის გადმოცემით, ქუთაისში, ფოთში, ჭიათურაში, სენაკში და სხვა რაიონებში.

მოსკოვიდან სტალინი და ტფილისიდან ბერია განკარგულებას განკარგულებაზე აგზავნიან—«სასტიკათ დაიცვან სოციალისტური საკუთრება», მაგრამ «მიუხედავათ იმისა, სწერს «კომუნისტი», რომ «ცენტროსოუზმა და სახელმწიფო სავაჭრობისა და კოოპერაციის პროფკავშირის ცეკამ ჯერ კიდევ 15 თებერვალს დააგზავნეს ამომწურავი დირექტივები მტაცებლობასა და მფლანგველობასთან ბრძოლის გაძლიერების და კლასობრივად უცხო ელემენტებისგან სავაჭრო აპარატის გაწმენდის შესახებ, მაინც მთელი ამ სამი თვის განმავლობაში არსებითათ არასფერი არ გაკეთებულა ამ დირექტივების განსახორციელებლათ».

პარტცეკის მდივანი ბერია კი თვით პრესას დებს ბრალს და ბრძანებს: «მთელი რიგი გაზეთებისა სუსტათ აწარმოებენ ბრძოლას მფლანგველებისა და მტაცებლების წინააღმდეგ და ცდილობენ მათ არ აწყენინონო».

ან როგორ უნდა აწარმოვონ გაბედული ბრძოლა გაზეთებმა, როცა მათ კარგათ იციან, რომ მფლანგველები ყველა დაწესებულებებში სხედან და რომ გაბედული ბრძოლა მათ ძლიერ შორს წაიყვანს და რომ დღევანდელი მფლანგველი შეიძლება ხვალ ცეკის მდივნათ დაუნიშნონ! განა ცოტა გაფლანგეს ელიავამ, გეგეჭკორმა, მამულიამ და სხვებმა? მოდი და ასეთ პირობებში ნუ მოერიდები «წყენას»!

გიჟი კი არ არის რედაქტორი ნიკო კიკნაძე, რომ აწყენიოს კომუნისტ ყურულაშვილს და აღნიაშვილს, რომლებიც გუშინ სამეურნეო დარგში მუშაობდენ, ხოლო დღეს ცეკის მდივნები არიან და პარტიას განაგებენ!

შავი ქვის სამეფოში.

ნავთის შემდეგ მარგანეცი ბოლშევიკებისთვის, ერთ უმთავრეს საექსპორტო საქონელს წარმოადგენს. ამიტომ მარგანეცის წარმოების საქმეს ისინი დიდ ყურადღებას აქცევენ. იმის თანამედროვე ტექნიკის მიხედვით მოწყობაზე მილიონები დახარჯეს. საქვეყნოთ გაიძახოდენ—ამერიკასა და ევროპას უნდა გავუსწროთო. და მართლაც კომუნისტური პრესა ერთხანს ისე ხატავდა ჭიათურის მდგომარეობას, რომ კაცი იფიქრებდა, ევროპასა და ამერიკას თუ ვერ გაასწრეს, ყოველ შემთხვევაში მარგანეცის წარმოება რიგიანათ მაინც დააყენესო.

ამა წლის 6 მაისის «კომუნისტი» კი დიდის ასოებით აცხადებს: «ჭიათურის მარგანეცის მრეწველობამ დაუყოვნებლივ უნდა გარდაქმნას მუშაობაო».

რატომ უნდა გარდაქმნას, რა მოხდა? ამაზე პასუხს იძლევა «კომუნისტის» სპეციალური კორესპოდენტი, რომელიც იმავე ნომერში სწერს: «ჭიათურის მარგანეცის მრეწველობა უკანასკნელი ორი წლის განმავლობაში საწარმოვო-საფინანსო გეგმებს გარღვევებით ასრულებს. მიმდინარე წლის პირველი კვარტალის საწარმოვო დავალება შესრულებული იქმნა 49,1 პროც. ასეთივე გარღვევებია აპრილის თვის პირველ ორ დეკადში»-ო.

კორესპოდენტის აზრით «ამ დიდი გარღვევების მთავარი მიზეზია ჭიათურის მარგანეცის მრეწველობის ხელმძღვანელობის კანცელარიულ-ბიუროკრატიული მეთოდი, რომელსაც ფართოთ აქვს ფეხი გადგმული ტრესტში. ტრესტის მართველობამ ვერ შესძლო თავისი, მუშაობის გარდაქმნა ახალ პირობებსა და მოთხოვნილებებთან შეფარდებით»-ო.

ერთი სიტყვით დამნაშავე, კარპე მოდებაძე და მისი ამხანაგებია და არა საბჭოური სახალხო მეურნეობის მთელი სისტემა. სინამდვილეში კი, ჭიათურის მრეწველობაც იმავე სენით არის დაავადებული, როგორითაც საბჭოთა კავშირის სხვა წარმოებანი. მაგალითათ იგივე კორესპოდენტი გადმოგვცემს: «რომ ჭიათურის მადაროებში გამეფებულია მუშახელის სისტემატიური ცვალებადობა. მიმდინარე წლის პირველ კვარტალში მადაროებიდან წავიდა 1223 მუშა, ხოლო იმავე დროის განმავლობაში საშუშაოთ მოვიდა 786. გასაგებია რომ ასეთი დენადობის დროს, სჩივის «კომუნისტის» ბრიგადირი, შეუძლებელია განხორციელებული იქმნას ახალი ტექნიკის, ახალი მექანიზმის რამდენადმე დამაკმაყოფილებლათ ათვისება»-ო.

ეროვნული ბიბლიოთეკა

არა მგონია, რომ კარპე მოდებაძემ ტფილისიდან გამოგზავნილ ბრიგადირზე ნაკლებ იცოდეს კერძოთ ეს ჭეშმარიტება და საერთოთ მარგანეცის საქმე! სახარბიელო პირობები მუშებს ჭიათურაში არასოდეს არ ქონიათ, მაგრამ იგი იმდენათ შეღავათიანი იყო, რომ მრეწველობას მუშა ხელის ნაკლებობა არასოდეს არ განუცდია. სჩანს რომ ეს ძველი პირობებიც აღარ აქვთ დღეს მუშებს და ამიტომ გარბიან იქიდან. და გარბიან არა მარტო ჭიათურიდან, არამედ ყველა სამრეწველო ცენტრებიდან, რადგან ადგილის დატოვებით არაფერს კარგავენ გარდა მძიმე მუშაობისა და შიმშილობისა. თვითონ იგივე კორესპონდენტი ამბობს, რომ «ტრესტი არადამაკმაყოფილებლათ ზრუნავს მუშათა საყოფაცხოვრებო პირობების გაუმჯობესებაზე»-ო.

ეს კი, მაგრამ როგორ გაუუმჯობესოს ტრესტმა მუშებს პირობები, როცა მთელ საბჭოთა კავშირში მჭადი, პური, ფართალი და წუღა სანატრელ საგნათ არის გამხდარი? თითიდან ხომ ვერ გამოსწოვს ყოველივე ამას ტრესტი?! საბჭოთა დაწესებულებებში, რომ ბიუროკრატიზმი არის გამეფებული, ჩვენ ამაში ეჭვი არ გვეპარება, მაგრამ საქმე მარტო ბიუროკრატიზმი კი არ არის, არამედ ბოლშევიკურ-საბჭოური სისტემა, რომელიც მთელ სახალხო მეურნეობას დამბლასა სცემს და ბიუროკრატიზმიც მისი პირმშო შვილია.

ავიღოთ იმავე ჭიათურის ცოცხალი მაგალითი. დაუშვათ, რომ იქ ხელმძღვანელობა მართლაც არ ვარგა და რომ მუშაობას გარდაქმნა ეჭვირება. მაშასადამე ამისათვის საჭიროა უფრო მცოდნე ინჟინრების, ეკონომისტების და ორგანიზატორების გაგზავნა, ვინემ ჭიათურაში ასეთები იმყოფებიან. ეს მართლაც შეძლებს საქმის გამოსწორებას. ამის მაგივრათ ბოლშევიკები «კომუნისტის» ვიღაც ბრიგადირებს ალიბეგაშვილსა და ყურუას გზავნის, რომლებიც ტრესტის გამგეობასა და ინჟინრებს კამანდროებენ. ევროპასა და ამერიკაში ასეთ ამბავს ანეგდოტათ ჩათვლიან. ბოლშევიკებს კი იგი დიდ სოციალისტურ მუშაობათ მიაჩნიათ.

ჩვეულებრივათ კი ასეთ მუშაობას რუსულათ «გოლოვოტიაპობა» ეწოდება, ქართულათ—უთავბოლობა.

ალიკა.

რ ა გ ზ ე ბ ი თ?

(დასასრული)

პროფ. კეინსმა «ტაიმსში» გამოაქვეყნა თავისი გეგმა ეკონომიური აღორძინებისა. მისი მოკლე შინაარსი ასეთია: კრიზისს, რომელიც ხასიათდება დაცემული შემოსავალით და აღებ-მიცემობით, უმუშევრობით, შეგვიძლია მოვერიოთ მხოლოდ და მარტო საზოგადო მუშაობის ორგანიზაციით სახელმწიფო ფულით და ხელმძღვანელობით, ვინაიდან კერძო კაპიტალი და ინიციატივა არ ზღუდავს ეკონომიურ საქმიანობას. გამოცდილება გვიჩვენებს, რომ საზოგადო მუშაობაში ერთი კაცის ამუშავებით ორი შემდეგ ამუშავდება სხვა დარგებში; ამნაირად სახელმწიფოს შეენახება თანხა უმუშევრების დასახმარებლად გადადებული, მომხმარებლების შემოსავალი აიწევს, ამით აიწევს გადასახადის შემოსვლაც, გაჯანსაღდებოდა ბიუჯეტი. ვინაიდან სახელმწიფოს ამნაირად ეკონომ. მექანიზმის ამუშავება შეუძლია მხოლოდ ნასესხი ფულით, პროფესორი მიგვითითებს კრედიტის გაიაფების სათანადო გზებზე: დევალვაცია—ფულის ოქროს შინაარსის შემცირება, დაკლება ქაღალდის ფულის ოქროთ დაფარვის, რომ საემისიო ბანკებს არ დასჭირდეთ ოქროს დიდი რეზერვები, სხვადასხვა სახელმწიფოების ფულების საერთაშორისო ოქროს პარიტის თავისუფალი ფლუქტუაცია. ეს რეფორმები უნდა მოხდეს თანდათანობით; შემდეგ ეტაპში უნდა იქნას შემოღებული საერთაშორისო ფული, რამოდენიმეთ ოქროსთან დაკავშირებული (მაგ. 10 პრ.). ასეთი საერთაშორისო ოქროს სერტიფიკატები, გამოცემული საერთაშორისო დაწესებულების მიერ, დაურიგდება ყველა სახელმწიფოებს გარკვეული კვოტით და ამ კვოტის ნიადაგზე გამოცემული იქნება შინაური ქაღალდის ფული. თვით ავტორის მოწმობით მის წინადადებას აქვს საფუძვლად ცდა საერთაშორისო ზომიერი ინფლიაციით მსოფლიო ფასების რეგულიაციისა.

თანამედროვე სოციალ-იდეოლოგიური ქარიშხალის დასახასიათებლად მოვიყვანე რამდენიმე ნიმუში ტიპიური აზროვნებისა თვით ბურჟუაზული ეკონომისტებისა და მეცნიერების. მგონია ეს საკმარისი ავტორიტეტული შემოწმებაა კაპიტალისტური წესწყობილების ღრმა კრიზისისა. ეხლა შეგვიძლია ზემო ხსენებულიდან რამდენიმე დასკვნა გავაკეთოთ, დავსახოთ ფართო ჩარჩოებში გზები უახლოესი პერსპექტივისა, ეკონომიური ცხოვრების ტენდენციებისა.

1) ეხლა თითქმის არავინ დაობს იმაზე, რომ ინდივიდუალური კაპიტალიზმი, ომამდე გაბატონებული, საბოლოოთ გარდაიცვალა, გარდაიცვალა ბუნებრივი სიკვდილით, განვითარების კანონის ძალით, რომლის ტემპი მხოლოდ დაჩქარა დიდ ომმა და სწრაფმა რაციონალიზაციამ. სრულდება ის, რაც თავის დროზე თქვა მარქსმა, მერე ზომბარტმა და რატენაუმ, რომ თვით კაპიტალისტურ სისტემაში არის ემბრიო ელემენტები მისი დაცემისა, გაოდაქმნისა. თუ ეკონომიურ ავტომატიზმს ძალუძდა ფასების თავისუფალი ფლუქტუაციით კრიზისების ჩქარი ლიკვიდაცია, ეს იმიტომაც, რომ პერიოდული კრიზისები ფაქტიურად ევროპის სენი იყო, კოლონიები და სხვა ქვეყნები რეზერვს წარმოადგენდენ, ეხლა კი კაპიტალისტური წარმოება გავრცელებულია მთელს მსოფლიოში.

2) საწარმოვო სისტემა დიდ გარდაქმნის ხანაშია; შიგნიდან, თავისუფლად, საკუთარი სტრუქტურის, ანტაგონისტ. ძალების გავლენის ქვეშ ხდება ღრმა ევოლუციის პროცესი, რომლის ძირითადი თვისებაა წარმოებაში საზოგადოებრივ-სახელმწიფოებრივი ელემენტის ზრდა, ინდივიდუალურის კი შემცირება. კაპიტალისტური წრეები წინეთ ქადაგებდენ: «laissez faire», ეხლა კი შეშინებული გაჰყვირიან:

«სახელმწიფოვ. გვიშველეო». გავიხსენოთ ყველა ინდუსტ. ქვეყნებში ბანკების და დიდი სამრეწველო კომპანიების სანკცია მთავრობის მხრივ, ე. ი. სახელ. ფულის სესხით და გარანტიის აღებით კონკურსის აცილება. სახელმწიფო ერევა, ეხმარება, მაგრამ, რა გასაკვირია, მოვალეობებს არ სჯერდება, უფლებებსაც ითვისებს, კონტროლის გარდა არსებითად ერევა საწარმოვო ურთიერთობაში. მთავრობის ინტერვენცია ორნაირია: რეპრესიული—ზემოხსენებული სანქციის სახით, და პრევენტული—ეკონომური საქმიანობის დაგეგმის ცდით. გერმანიაში Wagenianu ის, მერე ბრიუნინგ-პაპენის პლანი, შეერთებულ შტატებში ჰუვერის Recoustruction Finance Corporation, ინგლისში მაკდონალდის პლანი სტერლინგის დაცემით დაწყებული, ჩეხოსლოვაკიაში «შრომის სესხით» საზოგადო მუშაობის ორგანიზაცია და ბევრი სხვა, რომლების ჩამოთვლას და დეტალიზაციას ბევრი ადგილი მოუნდებოდა. საკმარისია აღვნიშნოთ, ყველა ამ გეგმების დედა აზრი და მიზანია—პირდაპირი ფულის ინფლიაციით ან არაპირდაპირი კრედიტის ინფლიაციით ეკონომიური აღორძინება, ახალ სოციალურ ნიადაგზე. რომ აქითკენ ჯერჯეროობით სუსტი ნაბიჯებია გადადგმული და ამიტომ პალიატივათ რჩება—ეს არაა გასაკვირი; ფაქტი ისაა, რომ დაგეგმვის ტენდენცია იმარჯვებს.

3) ცხადია, შინაურ დაგეგმულ ეკონომიკას აუცილებლად თან უნდა მოყვეს საერთაშორისო ეკონომ. გეგმა. სწორეთ ამ მიზნითაა მოწვეული ლონდონში საერთაშორისო ეკონ. კონფერენცია. ეს კონფერენცია უკვე გასული შემოდგომაზე მოწვეული უნდა ყოფილიყო, მერე ამ წლის თებერვალში უნდა მოეწვიათ, ჩვენ კი გვგონია რომ ახლაც ნაადრევია და მის შედეგებს დიდი ოპტიმიზმით არ უყურებთ, და აი რატომ: საერთაშორისო აღებმიცემობის მხრით მსოფლიო განიცდის იზოლიაციის პერიოდს. სახელმწიფოებმა ააგეს ერთმანეთ შორის ვეებერთელა კედლები პროიჰიტური ბაჟებით, კონტინგენტებით, სადევიზო პოლიტიკით (უცხოელი ვალიუტის გაუცემლობით), იმპორტის პირდაპირი აკრძალვით. შედეგი ისაა, რომ ეროვნული ეკონომიკა, რომელიც იყო ამენებული საერთაშორისო შრომის განაწილების პრინციპზე, იძულებული ხდება იზოლუნოს სრულიად წინააღმდეგ მიმართულებით—აუტარკიისაკენ ე. ი. ყველა ეკონ. მოთხოვნილებების უიმპორტოთ, სახელმწიფოს ფარგლებში დაკმაყოფილებისაკენ. ამ იზოლიაციაში ხდება წმენდის პროცესი: ის, რაც მომაკვდავია, ხელოვნურია—კვდება ბუნებრივი სიკვდილით, ხდება ლიკვიდაცია წარმოების იმ დარგებისა, რომელსაც არ მოეპოვება შესაფერისი ბუნებრივი პირობები და დამყარებული იყო სხვის ბაზრების იმპერიალისტურ ექსპლოატაციაზე; დარჩებიან შინაურ ბაზარზე დამყარებული სამრეწველო დარგები და მეორე მხრით საექსპორტო კი ისეთი, რომელსაც მსოფლიო ეკონომიკის ფარგლებში მოეპოვება საუკეთესო ბუნებრივი ტექნოლოგიური საწარმოვო პირობები. ეს სტრუქტურალური გარდაქმნის პროცესი მტკივნეულოვანი და ხანგრძლივია, ჯერ დასრულებული არ არის, ამიტომ გვგონია, რომ ლონდონის ეკონ. კონფერენცია, თუ მოკლეხანიანი იქნა—დაკმაყოფილდება რაიმე უმნიშვნელო ქაღალდის რეზოლიუციით, როგორც ბევრჯერ წინად; ან და მიიღებს ქრონიკულ ხასიათს, განიარაღების კონფერენციის მზგავსათ, იჩანჩალებს, სანამ ზემოხსენებული პროცესი არ გათავდება და მერე კი შესძლებს დაადასტუროს ხელშეკრულობით მისი ორგანიული შედეგები: სტაბილიზაცია საერთაშორისო აღებმიცემობისა კონკურენციის გარეშე; კონპენსაცია თითეული ეროვნულ მრეწველობათა იმ საქონლებით, რომელიც ერთმანეთთათვის მაქსიმალურად ხელსაყრელი და აუცილებელია. თავისთავად იგულისხმება რომ ასეთ შეთანხმებას წინ უნდა უძღოდეს გაუქმება ვალების, საბაჟო-სადევიზო და სხვა მზგავსი დაბრკოლებების საერთო აღებ-მიცემობისათვის და ფულის სტაბილიზაცია. ეს იმიტომაა საჭირო, რომ ერთი სახელმწიფო ყიდულობს მეორისაგან საქონელს საქონელითვე, არა ფულით; რომ შესძლოს საქონელის ჩამოტანა, უნდა მიეცეს საშვალება მისი ექვივალენტი საქონელის გადმოტანის საშვალება. ფული აქ მხოლოდ გაცვლის საშვალებაა, საზომია, როგორიცაა მაგალითად მეტრი; სხვა მნიშვნელობა ფულის, მიუხედავად იმისა, არის ის ოქროსი თუ ქაღალდის,—ფიქციაა, მასიური ილუზიაა. ასეთი შეთანხმება კონფერენციისათვის მაშინ მით უფრო ადვილი და მომწიფებული იქნება, რომ, როგორც სჩანს ერთა ლიგის ბიულეტენიდან და «მანჩესტ. გარდ.»-ის «Annal Review»-იდან ყველა ინდუსტრიალური ექსპორტი დაეცა საშვალოთ 60 პროცენტით; ეს იმას ნიშნავს, რომ საერთაშორისო აღებმიცემობაში დარჩა მხოლოთ ის საქონლები, რომელიც აუცილებელი და ხელსაყრელია. დაგეგმული საერთაშორისო აღებ-მიცემობა შეგვიძლია წარმოვიდგინოთ სქემატიურად, როგორც ეკონომიური ბლოკი ისეთი სახელმწიფოებისა, რომელნიც ეკონ. სტრუქტურით, ბუნებრივი სხვადასხვაობით მაქსიმალური სარგებლობით ფარავენ ურთერთ მოთხოვნილებებს (აგრარიული და ინდუსტრიალური, მეზობელი სახელმწიფოები და სხვა). ასეთი ეკონ. ბლოკები, ან და პროფ. სავიცკის ტერმინოლოგიით «ხმელეთის მეურნეობა» შეგვიძლია დაახლოებით ჩამოვსახოთ შემდეგ ერთეულებში: პანევროპა, ევრაზია, ინგლისი და მისი დომინიონები, ამერიკა-კანადა.

4) როგორც აღვნიშნეთ, კერძო კაპიტალის და ინიციატივის ადგილს თანდათანობით იჭერს სახელმწიფო. ამ უკანასკნელის მთავარ პრობლემას წარმოადგენს წარმოებასა და მოხმარებას შორის წონასწორობის აღდგენა. დავინახეთ, რომ მრეწველობის საკითხი როგორც ტექნიკური ამოცანა, მოგვარებულია, მაშ მთავარი პრობლემა, ყოფნა არ ყოფნის საკითხია დისტრიბუცია, საერთო შემოსავალის სამართლიანი გადანაწილება, ამით ფართო მასების მყიდველობითი შესაძლებლობის აწევა. ეს სოციალური დემოკრატიის გზაა—ცდა სოციალური პროდუქტის ისე განაწილებისა, რომ მუშა მოსამსახურეების წილმა გაცილებით აიწიოს, კაპიტალის წილმა კი დაიწიოს. პირველთ შემოსავალი მიდის თითქმის მთლათ მოხმარებაში, მეორეთა წილის კი კაპიტალიზაცია

ხდება; წარმოებას ადიდებს, მაშ კრიზისის წისქვილს წყალს უმატებს. ამ ჟეშმარიტების აღიარება უფრო ადვილია, ვიდრე განხორციელება. მეტყვიან. მაგრამ სახელმწიფოს შეუძლია ამ მიზნის მიღწევა (თუ სურვილი აქვს, რა თქმა უნდა) ფინანსური და ემისიური პოლიტიკის მიზანშეწონილი კომბინაციით.

ამასთან დაკავშირებით არ შეგვიძლია არ შევეხოთ დოლარის ინფლიაციას და საერთოდ პრეზიდენტ რუზველტის ეკონ. პოლიტიკას. ინგ. სტერლინგის და ამერიკის დოლარის დაცემის ობიექტიური მნიშვნელობა იქ არაა, სადაც ამას ეძებენ ამ ქვეყნების ინდუსტრიალური წრეები, ე. ი. ინფლიაციის დამპინგით მეტი საქონელის გატანის შესაძლებლობაში. ასეთ შედეგს, მართალია, ინფლიაცია იძლევა, მაგრამ სულ მოკლე ხანს, ეს გარდამავალი ეფექტია. ნამდვილი მნიშვნელობა ამ ორი სტერლინგ-დოლარის დაცემისა იმაშია, რომ: 1) ბოლოს მოუღებს დეფლიაციას (ფულის გაძვირებას), რომელმაც სტაბილიზაცია უქნა ქონების და შემოსავალის უსამართლო განაწილებას და ლოდივით აწვა ეკონომიურ ცხოვრებას; 2) დავალიანებული ინდუსტრია (რაციონალიზაცია—ახალი მანქანების ფასი), ბანკების სათამაშოთ გამხდარი, ადვილად გაისტუმრებს ვალებს, ინფლიაციის საშვალებით, თავისუფლათ ამოისუნთქავს, გაიადვილებს კალკულიაციას საქონელის გაიაფების მიზნით; 3) და უმთავრესი—ინფლიაცია, ფულის ფასის თავისუფალი რეგულიაცია, შეკავშირებული სათანადო ფინანსურ და ფასების პოლიტიკასთან (განსაკუთრებით გაგასახადების პოლიტიკა), სამუშავო დროს საგრძნობ დაკლებასთან (უკვე არ კმარა საერთ. შრომის ბიუროს მიერ მიღებული 40 საათის სამუშაო კვირა) ხელფასის დაუკლებლათ შესაძლებელათ ჰყოფს სწორეთ ზემოხსენებულ გადაჯგუფებას შემოსავალთა, და წარმოება მომხმარებას შორის წონასწორობის აღდგენას. სწორეთ შეერთებულ შტატებში აქვს კრიზისს ტიპური მსვლელობა, და იქაური გზებიც კრიზისიდან აღორძინებისაკენ—სიმპტომატურია. პრეზიდენტ რუზველტის კონკრეტული ნაბიჯები მოწმობენ ტენდენციებს, რომელნიც შორს არ არიან ტექნოკრატების იდეოლოგიისაგან.

5) ამნაირად ჩვენ სრულიად შეუმჩნევლად ეკონომიურ სფეროდან გავჩნდით წმინდა პოლიტიკურ (თუმცა ძნელია იმის თქმა, სად თავდება ეკონომიური და სად იწყება პოლიტიკური) სფეროში: სახელმწიფო იღებს ახალ-ახალ პოზიციებს მთელს ეკონ. საქმიანობაში, განვითარების ლოდიკამ მას ჩაუგდო ხელში ეკონ. ცხოვრების რეგულიაცია, რეგლამენტაცია, მაგრამ იბადება კითხვა, რანაირათ მოიხმარს ის თავის ეკონ. ძალას? სწორათ, უმრავლესობის სასარგებლოთ თუ ანტისოციალურად, უმცირესობის სასარგებლოთ? ეს დამოკიდებულია იმაზე, ვინაა სათავეში, ვის აქვს ხელისუფლება: კარგი ჟიანური კარგია მხოლოდ კარგი დამკვრელის ხელში. ზემოთ დახასიათებული ახალი ეკონ. ტენდენციების ბუნება უსათუოდ მოითხოვს დემოკრატიას როგორც პოლიტიკურ ფორმას—იგულისხმება სოციალური დემოკრატია, რომელიც ნაშნავს პიროვნებისა და საზოგადოების ინტერესების სრულ ჰარმონიას; მუშა ხალხის ეკონ. ობიექტიდან სუბიექტად გარდაქმნას. Harold J. Laski ერთ თავის წიგნში სწერს: «ეხლანდელ კაპიტალისტურ დემოკრატიის რეჟიმში თავისუფლება, სანამ ის ცარიელი უშინაარსო უფლება იყო,—მისაღები იყო ბურჟუაზიისათვის, მაგრამ მაშინათვე, როცა ფართე წრეებმა მოინდომეს გზის გაკაფვა ეკონ. და სოციალური პოზიციებისაკენ, სადაც აქამდის ბრძანებლობდენ მდიდრები—დაიწყო ბრძოლა, დემოკრატიის უარყოფა. დღევანდელი ეკონომ. სისტემის ტრანსფორმაცია შეუძლებელია უკონფლიქტოთ. საჭიროა გაბედული ჩარევა ძველი ურთიერთობის სისტემაში». ფაშიზმი-ჰიტლერიზმი უკანასკნელი იერემიაა ინდივ. კაპიტალიზმის. მაგრამ არავითარ ძალადობას არ შეუძლია განვითარების ჩარხების უკანვე დატრიალება. საერთოდ დიქტატურას არ ძალუძს კონსტრუქტული მუშაობა, გარდაქმნის ხანის დიდი ამოცანების გადაჭრა, ვინაიდან ამისათვის პიროვნების თავისუფლებაა საჭირო. როგორც საერთო წესი, შეგვიძლია მტკიცეთ აღვნიშნოთ, რომ დემოკრატული ქვეყნები თანამედროვე კრიზისს უფრო იოლათ იტანენ, მათი ბრძოლა კრიზისის წინაამდეგ უფრო მიზანშეწონილი და ნაყოფიერია. დავტოვოთ განზე ძველი დემოკრატიები—ინგლისი, საფრანგეთი და სხვა—ავიღოთ, როგორც ნიმუში, ჩეხოსლოვაკია--ახალი სახელმწიფო, ინდუსტრიალურად ზედმიწევნით განვითარებული, რთული ეკონომ. სტრუქტურით (ვინაიდან მისი მრეწველობა აშენებული იყო მთელი ავსტრო-უნგრეთის მონარქიის შინაურ ბაზარზე, წარმოადგენდა ავსტრო-უნგრეთის მრეწველობის 80 პროცენტს); არა ნაკლებ რთული ეროვნული შემადგენლობით—მოსახლეობის მესამედი ეროვნული უმცირესობიდან შესდგება; გარშემორტყმული აგრესიული დიქტატურებით. აქ თავიდანვე დემოკრატიული რეჟიმია. ეხლანდელი პარლამენტარული მთავრობის კოალიცია უკვე მეოთხე წელიწადია სათავეში, შესდგება პარლამენტის ორი მესამედიდან. კოალიციის ნახევარი სოციალისტური პარტიებისაგანაა: ჩეხების და გერმანელთა სოციალდემოკრატული პარტია და ჩეხოს. ეროვნული სოციალისტები (ბენეშის პარტია). შედეგი? სამართლიანად უწოდებენ მას შუა ევროპის ოაზისს, როგორც პოლიტიკურად ისე ეკონომიურად. ეხლა მაგალითად, შრომის სესხი გამოუშვეს; ერთი მილიარდი და ორასი მილიონი უკვე გაწერილია, მოელიან ორნახევარ მილიარდამდე აყვანას. ამ ფულით აწყობენ საერთო სასარგებლო საზოგადო მუშაობას. უმუშევართა რიცხვი დაეცა, ეკონ. ცხოვრება გამოცოცხლდა. ეკონ. კრიზისის ლიკვიდაცია ხომ საერთაშორისო საკითხია, რამდენად მაზეა დამოკიდებული, ჩეხოსლოვაკია ყოველთვის წინ და ფხიზლათ იქნება.

დიქტატურას ერთად ერთი პანაცეა აქვს ეკონ. კრიზისის წინააღმდეგაც: ომი. დიქტატურებს თიხის ფეხები რო არ ქონდეს, უკვე ომის შუა გულში ვიქნებოდით. პარადოქსათ მოგვეჩვენება, მაგრამ სიმართლეა, რომ ეს დიქტატურები ასრულებენ პროგრესულ როლსაც: ახდენენ ღრმა ფსიქოლოგიურ გადა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ტეხას კულტურულ კაცობრიობაში, სრულიად უნებურათ გუშინდელი უფერ-უსისხლო დემოკრატიის ადგილას ჭედავენ ხვალინდელს აქტიურ პროგრესულ დემოკრატიას. ლოღიკა და ტენდენცია გვაძლევს ღრმა რწმენას, რომ როგორც პოლიტიკურად, ეკონომურად, იდეოლოგურად და მორალურად გაკოტრებული რუსული კომუნიზმი, ისე მისი მკვიდრი ძმები ახლო მომავალში ჩაბარდებიან ისტორიულ უფსკრულს.

მ. უ.

პოლონეთის პრესიდან

ბუნებრივია, რომ პოლონეთის პრესა დიდს ყურადღებას აქცევს ურთიერთობას გერმანიასა და რუსეთთან და თუ არჩევანზე მიდგა საქმე, ძალაუნებურად ისმება საკითხი: ვისთან უფრო ხელსაყრელია დაახლოვება რუსეთთან თუ გერმანიასთან? ამ კითხვას ფართო ადგილს უთმობს თავის გაზეთებში. განსაკუთრებით უკანასკნელი ამბების გამო, ენდეკების (სახალხო-დემოკრ.) პარტია, რომელიც ყოველთვის რუსების მომხრედ გამოდიოდა. ჩვენი მკითხველისთვის საინტერესოდ მიგვაჩნია მოვიტანოთ აქ ზოგიერთი გაზეთის აზრი. მაგალითად ენდეკების ზომიერი ჯგუფის ორგანო «კურიერ ვარშავსკი» ერთ თავის მეთაურში სწერს: «გუშინდელმა დღემ მოგვიტანა აღმოსავლეთიდან და დასავლეთიდან ორი ამბავი, აღსავსე არაჩვეულებრივი მდიდარი შინაარსით. მიმდინარე წლის პირველ მაისის საბჭოთა კავშირის ელჩის ბ. ანტონოვ-ოვსიენკოს მიღებას ბელვედერში სამხედრო მინისტრის ბ. პილსუდსკის მიერ, გარეშე საქმეთა მინისტრის ბ. ბეკის თანადასწრებით, და ხანგრძლივ საუბარს მოჰყვა დიდი სტუმრობა სამ მაისს (პოლონეთის ეროვნული დღესასწაულია) ბ. ელჩ ლუკასევიჩთან (პოლონეთის ელჩი მოსკოვში), რომელსაც ესტუმრენ საბჭოთა ხელისუფლების და წითელი ჯარის ბევრნი წარმომადგენელნი... ეს დღესასწაული, რომელსაც დაესწრენ საბჭოთა ხელისუფლება ლიტვინოვიდან ბუდიონამდე და აგრეთვე მწერალთა წრეები პილნიაკიდან რადეკამდე—არის უეჭველად ახალი რამ... ამ ორ სახელმწიფოში არსებულ წესწყობილებათა და შეხედულობათა შორის უფსკრულია. მაგრამ ამავე დროს არსებობს მათ შორის სათანადო გამიჯვნაც: არც ჩვენ ვფიქრობთ დღევანდელი რუსეთის გარდაქმნას და არც საბჭოები ფიქრობენ ჩვენს გაბოლშევიკებას. ცხოვრების სინამდვილე ორივეს გვიკარნახებს ზავს —მეგობრობას». შემდეგ გაზეთი ეხება პოლონეთის ელჩის ვისოცკის მიღებას ჰიტლერის მიერ და უკანასკნელის განცხადებას, რომ არავითარ აგრესივობას არ ეწევა პოლონეთის წინაამდეგ. და სკეპტიკურად უყურებს ამ ამბავს—წარსულის მაგალითი გერმანიის კეთილ-მეზობლობის საბუთს არ იძლევაო.

ამავე გაზეთის შემდეგ ნუმერში დაბეჭდილი იყო ერთგვარი ცნობა ლონდონიდან, რომელმაც უნდა აიძულოს რუსეთი მჭიდროდ დაუახლოვდეს პოლონეთს. აი ეს ცნობა: «დეილი ტელეგრაფის» სიტყვით გერმანიას და იაპონიას ფარული მოლაპარაკება აქვთ, რომ შეთანხმდენ საბჭოთა წინაამდეგ. გაზეთი დასძენს, რომ მთავარი ხელმძღვანელი ანტისაბჭოური პოლიტიკისა არის როზენბერგი, რომლის მიზანია რუსეთის დაყოფა».

ენდეკების პრესა მარტო საბჭოებთან დაახლოვებას არ მოითხოვს, იგი დიდი მომხრეა აგრეთვე სლავიანურ სახელმწიფოების შეკავშირებისა. გაზეთ «ვიეჩორ ვარშავსკში» ვკითხულობთ: «მხოლოთ სლავიანურ სახელმწიფოების შედეგებით შეუძლია პოლონეთს დაიკავოს ევროპაში მისი შესაფერი ადგილი... მტკიცე დაახლოვება რუსეთთან, პოლონეთ-ჩეხოსლოვაკიას შორის სამუდამო პაქტის დადება, თანხმობა მცირე ანტანტასთან—აი ჩვენი პოლიტიკა... ცხოვრება გამოასწორებს მთელ რიგ გაუგებრობას, რაც წარსულში ყოფდა სლავიანურ სახელმწიფოებს; დღეს არც კია არსებითი უთანხმოება ამ სახელმწიფოთა შორის და სინამდვილის ფაქტები ღადებენ მათი ეკონომიური, კულტურული და პოლიტიკური თანამშრომლობის საჭიროებას».

ალბად გადაჭარბებული რუსოფილობით (ეგებ სხვა დაბალი ღირსების მიზეზითაც!) იყო გამოწვეული, რომ ამ გაზეთის ფურცლებზე დაიბეჭდა უმსგავსო და ირონიული წერილი საქართველოს საელჩოს შესახებ ამ სათაურით «საელჩო არ არსებულ სახელმწიფოსი». ჩვენ არ ვთვლით საჭიროდ შევეხოთ ამ წერილს, ვინაიდგან დარწმუნებული ვართ, კეთილშობილი პოლონელი ერი, რომელიც ჯერ კიდევ გუშინ მძიმე მონობის უღელს ქვეშ გმინავდა, არასოდეს გაიზიარებს «ვიეჩერ ვარშავსკის» აზრს და არ შეცვლის თავის კეთილ განწყობილებას ქართველი ერის მიმართ.

ერთა ლიგის დამხმარე ქართ. საზოგადოება

როგორც ჩვენმა მკითხველმა უწყის, ივნისის 11 გაიმართა ამ საზოგადოების საჯარო სხდომა, რომელზედაც კ. გვარჯალაძემ წაიკითხა მოხსენება «ერთა ლიგა და ინტერნაციონალი». მოხსენებას მოყვა კამათი, რომელიც მაშინ ვერ დასრულდა და ამიტომ სხდომის გაგრძელება შესდგა ამ თვის 2. კამათში მონაწილეობა მიიღეს: შ. ამირეჯიბმა, რ. გაბაშვილმა, გ. კერესელიძემ, გ. ზურაბიშვილმა, დ. ვაჩნაძემ, ა. მავლენიშვილმა, ა. ასათიანმა, პ. სარჯველაძემ, ვ. მაჩაბელმა, ნ. ციცაძემ, ინწკირველმა, გ. გვაზავამ, შ. ნუცუბიძემ, ე. გეგეჭკორმა, ე. პატარიძემ და ს. მენაღარიშვილმა.

ზოგიერთი ორატორი მთავრობასა და სოც.-დემ. პარტიას უსაყვედურებდა ცალმხრივ პოლიტიკურ მუშაობას, სოციალისტურ გზებით სვლას, არა გამაერთიანებელ ეროვნულ პოლიტიკას, არამედ პარტიულ გეგემონიის დაცვას და სხ.

პოზიციის წარმომადგენლებმა სრული განმარტება გააკეთეს ამ საგანზე. მათ განაცხადეს, რომ ყველა გზები იყო ნაცადი და გამოყენებული, ხოლო მოხსენებაში ყოველივე ამის აღნიშვნა არ შეიძლებოდა. იქ მოყვანილი იყო მხოლოდ ის მუშაობა, რომელიც

ერთა ლიგისა და ინტერნაციონალის კრებებზე საჯაროდ სწარმოებდა. მომავალ მუშაობაშიდაც ასევე გამოყენებული უნდა იქნეს ყველა რეალური შესაძლებლობა ჩვენი განმათავისუფლებელი ბრძოლის მიზნებისათვის და ამისთვის, რასაკვირველია, მიუღებელი იქნება ვიწრო პარტიული გზებით სვლაო.

თავის საბოლოო სიტყვაში მომხსენებელმა პასუხი გასცა ყველა ოპონენტს.

კავკასიის დამოუკ. კომიტეტის მოწოდება

კავკასიის დამოუკიდებლობის კომიტეტმა მოწოდებით მიმართა კავკასიის ერებს, რომელიც დიდი კმაყოფილებით აღნიშნავს კავკასიელთა გაერთიანების ზრდას და საერთო ბრძოლებს დამოუკიდებლობისათვის და ასეთი სტრიქონებით თავდება: «კავკასიის მოქალაქენო, თავისუფლების ყამი ახლოვდება; მტერი, რომელიც ჩვენ გვჩაგრავს, უფსკრულის პირსაა მიმდგარი! ვიყვნეთ მზად! შევკრათ რიგები. ნუ გავყვებით პროვოკაციას და დავამზადოთ ჩვენი აქტივური ძალები გადამწყვეტ მომენტისათვის. ნუ დავივიწყებთ, რომ მხოლოდ მთელი კავკასიის ძალთა შეერთებით შეგვიძლია კვლავ დავიბრუნოთ თავისუფლება.

ძალების შეკავშირებით კავკასიის რესპუბლიკათა კონფედერაციისაკენ! აი ჩვენი ლოზუნგი, ლოზუნგი ბრძოლის, ლოზუნგი სადღეისო. წინ! კავკასიის ძვირფასნო თანამებრძოლნო. მომავალი ჩვენ გვეკუთვნის, რომელნიც ვატარებთ ჩვენს გულებში ეროვნულ განთავისუფლების იდეას. გაიხსენეთ, რომ ჩვენ მარტონი არა ვართ ჩვენს ბრძოლაში. ჩვენს რიგებში, ჩვენთან ერთად იბრძვიან რუსეთის მიერ ყველა დაჩაგრული ერები... კავკასიის მოქალაქენო, დარაზმდით, შეჰქმენით რევოლუციონური ძალები და თქვენი მძლავრი ხელი აგრძნობინეთ მტერს, როცა ამის შემთხვევა გექნებათ. ეს იქნება აქტი, ღირსი ჩვენი მაისისა—ჩვენი დამოუკიდებლობისა...»

ჩვენი დიდი მეგობრის იუბილე

ივნისის 26 ჟენევის უნივერსიტეტის დარბაზში დიდი ღღესასწაული გაუმართეს ჩვენს მეგობარს, განთქმულ მეცნიერს და მოღვაწეს ედგარ მილოს, 60 წლის შესრულების გამო.

დარბაზი გაჭედილი იყო მეცნიერებით, მილოს ძველი და ახლანდელი შეგირდებით და საზოგადოების ყველა წრის წარმომადგენლებით. საზეიმო სხდომას თავმჯდომარეობდა პროფესორი რიშარი, უნივერსიტეტის რექტორის მოადგილე. წაკითხულ იქმნა სხვადასხვა ქვეყნებიდან მოსული მილოცვები და მათ შორის საქართველოს მთავრობის თავმჯდომარის ბ. ნოე ჟორდანიასი, რომელიც მხურვალე სალამს უთვლიდა ჩვენს ერთგულ მეგობარს. პროფეს. ბაბელმა თავის მოხსენებაში განიხილა იუბილარის სამეცნიერო მოღვაწეობა, რომლითაც სამართლიანად შეუძლიან იამაყოს ჟენევის უნივერსიტეტმა. ინტერნაციონალური შრომის ბიუროს სახელით სიტყვა წარმოსთქვა ბიუროს დირექტორმა ბუტლერმა, რომელშიდაც დაახასიათა იუბილიარის დიდი ღვაწლი ბიუროს მუშაობაში. ჟენევის მთავრობის თავმჯდომარემ გადასცა იუბილიარს მთავრობის მილოცვა. დასასრულ სახელოვანი მეცნიერი ეკონომისტის მეუღლეს თავმჯდომარემ მიართვა საუცხოო თაიგული.

ამის შემდეგ სიტყვა ეძლევა თვით იუბილიარს, რომელსაც საზოგადოება ხვდება მხურვალე ტაშით. ის დიდს მღელვარებას განიცდის და ერთხანს სდუმს. შემდეგ იწყებს თავის სიტყვას მრთოლვარე ხმით, მაგრამ მალე მოეშველება ჩვეულებრივი მისი მჭერმეტყველობის ნიჭი და სიტყვას ბრწყინვალეთ ასრულებს.

ხ. შ.

პარმენ გამყრელიძე

კიდევ ერთი მსხვერპლი ბოლშევიკების ჯალათობისა! წარსული წლის ოქტომბერში დაატუსაღეს პარმენ დავითის ძე გამყრელიძე. ხანგრძლივი და მძიმე მეტეხის რეჟიმს მიემატა საოფლე და ამ წლის აპრილში სიცოცხლეს გამოესალმა.

პ. გამყრელიძეს ბევრნი იცნობდენ. ის ჯერ ბათუმის ქალაქის სამმართველოში მსახურებდა. შემდეგ იქვე ლომბარდის გამგეთ იყო არჩეული. ტფილისში დიდხანს იყო «ჩემოს» საზოგადოების საქმეთა გამგეთ, ვიდრე ბოლშევიკებმა არ გააუქმეს ეს საზოგადოება და თვით არ ჩაიგდეს ხელში მთელი ჭიათურის მარგანეცის საქმე.

პ. გამყრელიძე ბუნებით ნიჭიერი, გასაოცარი შრომის მოყვარე და ცოცხალი ადამიანი იყო. 1905 წ. ის იყო სოც.-ფედერბლ. პარტიის წევრი. და რევოლუციის დღეებში მასაც ნახავდით თოფით ხელში. იყო ასეთი მომენტი: გამძვინვარებული სალდათები ქალაქის გამგეობის სახლში შეცვივდენ და იქაურობა ერთიანად მილეწ-მოლეწეს. პარმენი და გრ. ვოლსკი (გამგეობის წევრი) კინაღამ ხიშტებზე ააცვეს. სალდათები თოფის კონდახით ცდილობდენ რკინის კასის გატეხას. პარმენმა შეუყვირა: «რასა შვრებით, იქნება შიგ ბომბებია», და შეშინებულმა სალდათებმა უცებ მიანებეს თავი როდესაც გ. ლასხიშვილმა არჩილ ჯორჯაძე მძიმე ავადმყოფი ზამთარში ჩამოიყვანა ბათუმში, მაშინ პარმენმა დიდი მონაწილეობა მიიღო მის მოვლა-დაბინავების საქმეში, საიდუმლო ბინაზე, მახინჯაურში. უკანასკნელ დრომდე არჩილთან დაახლოვებული იყო და სხვა მეგობრებთან ერთად ისიც დაესწრო არჩილის უკანასკნელ წუთებს სასტუმრო «ფრანცია»ში ბათუმში...

საკვირველია რომ ან ამდენ ხანს როგორ შეინახა თავი პარმენმა... იგი ბუნებით მებრძოლი ტემპერამენტის ადამიანი იყო, უშიშარი, შეუპოვარი, ადვილად არავის დაეჩაგვრინებოდა და სადაც შეეძლო, სხვასაც გამოექომაგებოდა. ასეთ ადამიანებს ჩვენ უკუღმართ ცხოვრების პირობებში თავისი ფასი აქვთ და თავის წრეში მუდმივ პროტესტის მოთავეებად გამოდიან და სხვებსაც ამხნევებენ. ამიტომ წინდაწინვე განწირულნი არიან. X

Arpajon — Imprimerie de *La Gazette de Seine-et-Oise*. Le Gérant : A. LARGILLIÈRE.